



ქართული მ. ს. ბ. ი.

ქ. ა. ბ. ვ. გ. დ. ე. თ. ჯ. კ. ლ. მ. ნ. ი. პ. რ. ს. თ. ჯ. კ. ლ. მ. ნ. ი. პ. რ. ს.

Довсолоно цензурою, Тифлисъ. 31 Октябръ 1875 г.

წინასიყუარობა

მართალია არქიერის სულდასხმის შემდეგ ყველა მღვდელს მიუნიჭება უფლება წმიდა საიდუმლოების შესრულებისა, მაგრამ კანონიერად მათის შესრულებისათვის მარტო მღვდელმთავრის სულდასმა არ არის საკმარ. წმიდა საიდუმლოების კანონიერად შესრულებისათვის საჭირო არის მღვდელმა იცოდეს ყველა კანონები და დადგენილობაება საეკლესიო და სამოქალაქო მთავრობათაგან შესასებ საიდუმლოებთა. ამ კანონების და დადგენილობების უცოდინარობისაგან მღვდელნი უმეტესად მსტდების ნათლისღების და ქორწინების შესრულებასე და ისჯებიან; და საღსიფ ვარდება მათის შეცდომით დიდ ზარალში. ამის დასამტკიცებლად საკმარ არის ერთი თვალი გადაავლოს ვაგმა იმ გაუთავებელ ძაწერ-ძაწერას, რომელიც უწმინდესის სინოდის საქართველო—იმერეთის კანტორისა და ეპისკოპოსებს შორის არის შობის, მონათვლის და გვირგვინის გურთხევის შესასებ. რვა წლის ჩემის მღვდლად და ბლადღისინად მსახურებისა მე მრავალ გზის შემინიშნავს, რომ ერთი უბრალო საგნის უცოდინარობით მღვდლები ზავრდნილან შეცდომში და

ბოლოს სასჯელში, რადგან კანონის უცოდინარობით ვერავინ ვერ დაითვრავს თავს სასჯელისაგან, და ის პირებიც, რომელთაზედა შესრულებულ არს ძველ-მოქმედება უმეტესად ჩავადნილან ზარალში. ყოველი კაცი ვალდებული არის დაესძაროს ამ შემთხვევაში, როგორც ძველებს, ეგრეთვე საზოგადოებას.

აი ახრი, რომლითაც ხელმძღვანელობდი მე ამ წიგნის შედგენის დროს. ამ წიგნს, რასაკვირველია, არ ჭაქს დანიშნულება იმ ძველებთანთვის, რომელთაც სასულიერო აკადემიის და სემინარიის გუჩსი შეუსრულებიათ და რომელთაც სასულიერო კანსისტორიის უსტავი იტიან და ნადაგ წინ უღევსთ. ამ წიგნს აქვს დანიშნულება იმათთვის, რომელთაც არა თუ სემინარიის, არამედ ოთხკლასიანი სასწავლებლის გუჩსიც არ ჭაქვსთ შესრულებული. რამდენად საჭირო და სასარგებლო არის ცოდნა ამ ორ ძველმოქმედების შესახებ სამოქალაქო და საეკლესიო კანონთა, დაწესებათა და დადგენილობათა, ცხადათ შიიტუობს კაცი თუ საზოგადოების ხმას მოისმენს. *)

*) რწიულს ენაზე ბევრი ამისთანა ძველებთანთვის სახელმძღვანელო წიგნები არის დაბეჭდილი, მაგრამ ჩვენი ძველები მიუჩნებულ სოფლებში მარტო გურთხეუნიან მეტს ვერას იშოვის, რომელშიაც არც კრთიანხლანდელი უქაზი და დადგენილობები არ არიან. რა უნდა ქნას საწვალმა ძველმა მარტო გურთხეუნით?

ბედნიერად შევრატხ ჩემ თავს თუ ამ ჩემს შრომას
ჩემი მოძებებთაგანი სოფლის ძღვედელი აატილა იმ სსს-
კვლს და შეცდომას, რომელიც მოსდით მათ ამ ორის
საიდუმლო შესრულებაში, და ამასთან თვითონ საზოგა-
დობასაც განათავისუფლა იმ გაუთავებელი მიწერ-მოწერი-
საგან მომხდარ ზარალს, რომელიც მათი მეტრიქსკის
მოწმობის მიღებაზე შეუდგებათ სოფლე.

გლვდელი დავით ლაგბაშიძე.

შესავალი

ჟეკლასზე უდიდეს მღვდლის სამსახურის ნაწილს შუადგენს, რასაკვირველია, შესრულება წმიდათა საიდუმლოთა, ამისთვის მღვდლისაგან მოითხოება დაწველილებითი ცოდნა მათი და აღსრულება ჟეკლა უქაზთა სანუკლე-სიო და სამოქალაქო დაწესებთა შესახებ წმიდათა საიდუმლოთა. წმიდა საიდუმლოების რიცხვში არც ერთი საიდუმლო არ თხოულობს იმდენ გამოკითხვას და ცოდნას, რამდენსაც ითხოვენ ნათლის დება და ქორწინება; ამისთვის მე მსურს, რამდენათაც შეიძლება, მივსცე ჩემს მოძმეებთაგანს სოფლის მღვდლებს სასულემღვანელო წიგნი შესახებ ამა საიდუმლოთა, რომელნიცა გამოკრებილნი არიან, უმთავრესად, პირველის ნაწილის მეათე ტომისა, სასულიერო კანსიტორიის უსტავისა და სხვათაგან. ამასთანავე როგორც საჭირო და სასარგებლოს მღვდლებთათვის მე მოვიყვან ამ წიგნში სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემელ მოწმობების და საეკლესიო საბუთების წარმოების ფორმასაც, და აღფავიტურ (ასობებსზე დაწოხბილს) სიას ჟეკლა წმინდანების სახელთა მძრისას ცალკე და მჯედრისას ცალკე, ჩვენებითი რა-

მელთა დღეთაშინა დღესასწაულობს მათ სახელთა წმიდა მართლმადიდებელთ ეკკლესია. ამასთანავე იქმნება ალფავიტურნი სია ცალკე მოყვანილი იმ წმიდანების სახელთა, რომელთა დღესასწაულობს საქართველოს მართლმადიდებელთ ეკკლესია, *)

წიგნი ესე განიუოფება შვიდ თავად.

პირველ თავში იქმნება მოყვანილი ყველა საეკკლესიო და სამოქალაქო კანონები, დადგენილობანი და საჭირო ცნობანი შესახებ საიდუმლო ნათლის დების აღსრულებისა,

მეორე თავში იქმნება მოყვანილი მოკლე განმარტება ნათლის დების ტიბიკონისა.

მესამე თავში იქმნება მოყვანილი დარიგებანი, დადგენილობანი და ცნობანი შემოერთებაზე მართლმადიდებელ ეკკლესიასთან ფრანგთა, პრეტესტანტთა, ლათ-

*) სშირად მღვდელს ჰკითხვენ ხალხე თუ რომელ დღეს დღესასწაულობს ეკკლესია, რომელამე მათგან მოყვანილ წმიდის სახელს. მღვდელი ხანდისხან გერ ამღევს მათ რიგან პასუხს, ამასთვის თუ ეს ალფავიტურნი სია წმიდანების სახელთა ექმნა მას არა ოდეს არ გაუჭირდება ამისთანა კითხვების პასუხის გაცემა.

წინგთა, წასკოლნიკთა და სხვა ამგვართა ქრისტიანთა
სარწმუნოების აღმსარებელის პირთა.

მეოთხე თავში იქმნება მოყვანილი ყუელა ცნობანი
საეკლესიო და სამოქალაქო კანონნი და დადგენილობანი
სხვა სარწმუნოების პირთა მონათვლასზე. ურიათა, თათარ-
თა და კერპთთაყვანის მტემელთა და ამასთანავე ამ თავში-
ვე იქმნება მოყვანილი რამოდენიმე ცნობანი მათვე მო-
ნათვლასზე დიდი გურთხევანიდამ.

მესხეთე თავში იქმნება მოყვანილი საჭირო ცნობანი,
კანონები და დადგენილობანი საეკლესიო და სამოქალაქო
ათი ობისკის წიგნის მუსლთაზედა. ამ თავშივე იქმნება
მოყვანილი რამოდენიმე საჭირო ცნობაები ყოველთა
მღვდელთა თვის, ნათესაობის ხარისხების მუსლების
შეცვლასზე და გამოანგარიშებაზე.

მეექვსე თავში იქმნება მოყვანილი მოკლე განმარ-
ტება წინდობის და გვირგვინის გურთხევას ტიბიკონისა.

მეშვიდე თავში იქმნება მოყვანილი ორიოდე სიტყ-
ვა მეტრიკის ამოწერილობის მიცემასზე, მეტრიკის ბლან-
კების ფორმები, და ასიც თუ როგორ უნდა იწერებო-
დეს კრებულთაგან მონათვლის, ქორწინების, გარდაცვა-
ლების და დასაფლავებას აღსრულება, საქორწინე ობის-
კის და მოწმობაების ფორმებიცა, რომელთა მიცემა
ხშირად შესვდება ხოლმე მღვდელს. ამ თავშივე იქმნება
აღფავიტური სია ყუელა წმიდანების სახელთა მამრის
ცალკე და მდედრის ცალკე, მათი დღესასწაულობის დროს
ხვეწებითა...

თავი პირველი

ნათლის ღება.

ნათლის ღება არის ისეთი საიდუმლო, რომლითა მოწოდებუნე სამ გზის წყალში შთაფვლითა მოწოდებითა წმიდისა სამებისა, ე. ი. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა განიწმიდების ყოველთა ცოდვათაგან; და იშვების სულიერად სულისა წმიდისაგან სულიერი და წმიდა ცხოვრებისათვის.

საიდუმლო ნათლის ღების შემასრულებელი პირი არის მღვდელი. მაგრამ როდესაც ბავში ავათ არის და მღვდელი არ იშოვება, შეუძლია უბრალო სოფლის კაცმაც შეასრულოს შემდგომის სახით ნათლის ღება და არა თუ სოფლის კაცს, არამედ ქალსაც შეუძლია შეასრულოს ამისთანა გაჭირვებულ შემთხვევაში მონათვლა. თუ მღვდელი არ იშოვება და ბავში კვდება, კაცმა ანუ ქალმა წყალი უნ-

და ჩაასხას რამეში, აიყვანოს ბავში სამ გზის უნდა ჩაიყვანოს წყალში და ამოიყვანოს და სთქვას ასე: ნათელს იღებს მონა, ანუ მხევალი (რომელ სახელსაც უწოდებენ) სახელითა მამისათა ამინ! მეორე ჩაყვანაზედ და ძისათა ამინ! და მესამე ჩაყვანაზედ და სულისა წმიდისათა ამინ! აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!“

ყოველი მღვდელი ვალდებულია, რომ ამ გვარად მონათვლა ასწავლოს თავის სამრევლოს. და განსაკუთრებით ბებზედ. თუმცა მღვდელი არ იპოვება და ამ სახით ბავში იქმნა მონათლული, მაგრამ თუ დარჩა ცოცხალი და აღარ მოკვდა, მაშინ მღვდელმა დანარჩენი მღვდელ-მოქმედება უნდა შეუსრულოს მას, მაგრამ ის სიტყვები, რომელნიც წყალში ჩაყვანის დროს სთქვებს აღარ უნდა სთქვას და არც წყალში უნდა ჩაიყვანოს.

მღვდელი თუ არ იპოვება და ბავში სწეულად არის, მაშინ თავის მამას მღვდელს შეუძლია თავისი ბავში მონათლოს, მაგრამ თავისი შვილის მიმრქმელად ყოფნა არ შეუძლიან.

ბავში თუ დღენაკრული არის ანუ ისეთი ავადმყოფი, რომელსაც წყალში ჩაყვანა ძლიერ აწყენ-

დეს, მაშინ საკმაოა სამ გზის ასხუროს მღვდელმა წყალი ზემოთქმულის სიტყვების წარმოთქმით.

წყალი, რომელშიაც ბავშვი უნდა მოინათლოს, უნდა იყოს უბრალო, წმიდა და არაფერი სურნელება და სხვა რაიმე არ უნდა იყოს გარეული მას შინა.

ჰოველ გვარი მღვდელ-მოქმედება სამრევლოთა მათის მრევლის მღვდლისაგან უნდა აღუსრულებოდეს. მრევლის მღვდლის ნებადაურთველად სხვას არავის არა აქვს უფლება აღასრულოს რაიმე. მაგრამ თუმცა საჭიროება მოითხოვს, ყოველ მღვდელს შეუძლია და ვალდებულია ზიარება და ნათლისღება შეასრულოს ვისი სამრევლოც უნდა იყოს. (სასუღ. კანსისტ. წესდება სტ. 13.) შინც სხვის სამრევლოში შეასრულებს ნათლისღებას თავის მეტრიკაში უნდა ჩასწეროს და მეტრიკის გამოწერილობა უნდა მისცეს ბავშვის მამას, რომ მის პრიხოდის მღვდელს მიუტანოს ეკლესიების საბუთებში შესანახად.

საიდუმლო ნათლისღებისა მეექვსე მსოფლიო კრიების ნთ. კანონით ეკლესიაში უნდა შესრულ-

დეს, მაგრამ თუ ცუდი ამიდი არის და ბავშვიც ავად არის შეიძლება სახლშიაც მოინათლოს ბავში.

მკვდარი „დაბადებული ბავშის მონათელა არ შეიძლება.“ ხშირად მოხდება, რომ ბავშვებს სხვას მიუგდებენ კარზედ ჩუმათ, ამისთანა ბავშვებს გულზე დაადებენ ქალაღდს რა ჰქვიან მათ და მონათლული არიან თუ არა. თუ გამოცხადებულათ არ იყოს დამტკიცებული, რომ იგინი მონათლულნი ნანდეილ არ არიან ანუ მოწმები არ იყოს, რომ დამტკიცონ მისი მონათელა, მაშინ უნდა მონათლოს მღვდელმა, მაგრამ წყალში ჩაყვანის დროს ესე უნდა სთქვას: „ნათელს იღებს მონა ესე შენი ანუ მხევალი (სახელი) თუმცა ჯერეთ მონათლული არ არის სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და სხვანი.“ (უწ. სინ. უქაზი ჩღან. ღკგ. კთ.).

მართლმადიდებელის ეკკლესიის მღვდელს შეუძლია მონათლოს ბავში მართლმადიდებელის ეკკლესიის წესისამებრ მშობლების სურვილისამებრ სხვა სარწმუნოების პირთაცა, მაგრამ მშობლებს ხელწერილი უნდა ჩამოართვას, რომ იგინი აღზრდიან მას სწავლისამებრ მართლმადიდებელის ეკკლესიისა. მს ხელწერილი მღვდელმა ეპარხიის მღვდელ-მთა.

ვარს უნდა წარუდგინოს, (კანს. უსტ. 11 განუ. კო-
სტატია). სხვა სარწმუნოების კაცს თუ სურს მართლ-
მადიდებელის სარწმუნოების წესისამებრ ნათლის-
ღება, ის უნდა მოამზადონ, ასწავლონ მას ლოცვე-
ბი, მრწამსი და შემდეგ უნდა მონათლონ, მაგრამ
მღვდელმა ამაზე ნება უნდა გამოითხოვოს მღვდელ-
მთავრისაგან.

შვიდ წელს ზევით ბავში ჩვენი სარწმუნოები-
საც რომ იყოს თუ ლოცვები არ დაუსწავლია და
არ მოემზადა, როგორც სხვა სარწმუნოების კაცი,
ისე არ შეიძლება მათი მონათვლა.

მღვდელმა, რომ თავის დაუდევნელობით ბავ-
ში უნათლავად მოკლას, განიკვეთების მღვდელობი-
საგან და პრიეტნიკის ადგილზე იქმნება ჩამოყვანი-
ლი მონანებამდის. (კანსისტორიის წესდებ. მესამე
განყოფილება სტ. სუდ. 177).

ორიოდე სიტყვა მიმრქმელზე.

მიმრქმელები დიდი იქმნება მოსანათლავი თუ
პატარა, მაინც უნდა იყვნენ აუცილებლად. როდე-
საც შვიდ წელს ზევით ინათლება ვინმე, მიმრქმელი

ამ შემთხვევაში დაესწრება მოწმად და თავსმდებად იმ ალექმაზე, რომელსაც სდებს წინაშე ეკლესიისა მოსანათლავი. პატარა ბავშვების, მუნჯისა და სიტყვიერების მოკლებულის მონათვლის დროს მიმრქმელი ვალდებულია მოსანათლავის სათქმელი მანსტქეას, მაგრამ ბოლოს უნდა იქონიოს მზრუნველობა მათი მართლმადიდებელის სარწმუნოების წესისამებრ აღზრდაზე.

მიმრქმელი ორი არის ხოლმე მონათვლაზედ: ერთი ქალი და ერთი კაცი, მაგრამ ჩვენში ერთის მეტი არ იციან. მართლმადიდებელი ეკლესიაც ერთს მოითხოვს და არა ორსა და მრავალს; როდესაც ინათლება ვაჟი მიმრქმელად უნდა იყოს კაცი და როდესაც მღვდლის სქესისა მიმრქმელად უნდა იყოს ქალი, მაგრამ უთუოდ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა უნდა იყოს. მღვდელმა არაოდეს არ უნდა მიიღოს სხვა სარწმუნოების აღმსარებელის პირი მიმრქმელად, თუ ერთი მაინც არ არის მართლმადიდებელის სარწმუნოებისა. როდესაც ორი იქმნება მიმრქმელად მართლმადიდებელის და ფრანგის ანუ სომეხთაგანი ვინმე, მაშინ ნამდვილ მიმრქმელად მართლმადიდებელის პირი უნდა აჩვენონ და მეორედ სხვა აღსარებისა,

ხშირად არა თუ ორის, არემედ ხუთი პირის დასწრებაც იციან მიმრქმელად. ამათში მხოლოდ ერთი პირი უნდა აჩვენო მიმრქმელად და დანარჩენი ყველანი მოწმად. ამისთანა შემთხვევაში მხოლოდ ერთ მიმრქმელს ჰაქვს ნათესაობითი კავშირი ნათლის დედას და მამასთან და ნათლულთან და დანარჩენნი არ ირიცხებიან ნათესავად. (უქ. უწმ. სინოდისა ჩუღდ-სა წელსა ივნ. ის.) საჭირო შემთხვევაში ნათლისღება შეიძლება აღსრულდეს უმიმრქმელოთაც. ამისთანა შემთხვევაში თვითონ მომნათელები მღვდელი ვალდებულია თავის თავზე მიიღოს მონათლულის მართლმადიდებელის სარწმუნოების წესით აღზრდა.

რადგან მიმრქმელი თავსმდებია მონათლულის სარწმუნოებაზე, რომელმაც თვითონ უნდა აღზარდოს იგი მართლმადიდებელის სარწმუნოებისა მეტრ, რასაკვირველია მიუცილებლად თვითონაც უნდა იცოდეს მან სიმეოლო სარწმუნოებისა. ამისათვის არ შეიძლება, რომ მიმრქმელად იყონ ა-დ) სხვა სარწმუნოების პირნი მართლმადიდებელის სარწმუნოების პირთათვის.

ბ-დ) მცირე წლოვანი. არ შეიძლება მიმრქმელად იყოს კაცი თუთხმეტი წლის ნაკლებ მექონი და ქალი სამეტი წლის ნაკლებ მექონი. (უქაზ უწმ. ს. ჩუღუ-ს წელსა მას კგ და ჩუღუ-სა აგვისტოს კზ).

ზ-დ) არ შეიძლება მიღება მიმრქმელად იმისთანა პირთა, რომელნიცა საზოგადოების თვალის წინაშე ძლიერ გაფუჭებულნი არიან ზნეობითად.—

თავი მეორე

ნათლიების მოკლე ტიბიკონი

პრიან ზოგიერთი განსაკუთრებით მოხუცებულთა მღვდლებთაგანი, რომელთაც კარგად არ იციან მონათელის ტიბიკონი. ამისათვის არ იქმნება უსარგებლო, რომ ორიოდ სიტყვა ვსთქვა ამ წიგნში საიდუმლო ნათლისღების შესრულებაზედაც. ეს ტიბიკონი, რასაკვირველია, კარგად სწერია კურთხევანში, მაგრამ ზოგს, როგორც შემინიშნავს, ძლიერ უჭირს ყველა წესების აღსრულება რიგისაშებრ, რომელიც გაუცვებლობის მიზეზით უნდა იყოს.

პირველად დაიბადება თუ არა ბავში, მღვდელს მიუწოდებენ მშობიარე დედაკაცისა და ბავშვის ლოცვის წასაკითხავად და სახელის მისაცემელად. რუსობაში ყველგან მღვდლები მართო მშობიარე დე-

დაყაცის ლოცვას წაიკითხავენ და ხშირად სამად-
ლობელ პარაკლისსაც აღასრულებინებენ. *)

ღიდს მოსანათლავე ნათლის ღებამდის დაერქმე-
ვა სახელი ახალი ქრისტიანული. **) სახელის დარ-

*) ჩვენში ამ ლოცვებს გარდა მცირე აიაზმა თუ
არ ახდებიან მღვდელს არ შეიძლება. ხშირად მოხდება,
რომ მთელი დღე მღვდელი ვერ იშოვონ და სანამ
მღვდელი წყალს არ აკურთხებს. მშობიარე დედაკაცის
ოჯახში დაძვრე არც აჩას სჭამს და არც აჩას დალექს.
გასაკვირველი არის საიღამ შემოვიდა ეს წესი ჩვენში.
მღვდელმა რომ მშობიარე დედაკაცს და ბავშს ლოცვა
წაუკითხოს და ბავშს სახელი უწოდოს, ან მაშინვე ასუ
მერე, და ასხუროს ეკლესიიდან მოტანილი აიაზმის
წყლით მშობიარე, შობილი ყრმა და უკვლავ შინ მყოფ-
ფნი, მეტი არ არის საჭირო; როგორც რუსების
მღვდლები იქცევიან.

**) თვითვეული ქრისტიანე ვაღდებულა იცოდეს
ცხოვრება იმა წმიდისა, რომლის სახელიც ქიან. ყოველს
ახალი წლის დაწეებისას უწინარეს ყოველისა თვითვეულმა
ქრისტიანმა უნდა გაზრდინდოს სამადლობელი ზარაკლი-
სი თავისი მთავრულის სახელზე, რომლის სახელათაც
იწოდება და შეეკადროს, რათა მიენიჭოს მას კეთილი
ქვეყნიური და ზეციური ყოველი ქრისტიანის სახელი
გამძლეობით უნდა მოისხენოს კაცმა. არავის უნდა უწო-
დონ სახელი ანა წმიდანებისა და მრავალი სახელი ერთს
არ უნდა დაარქვან, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ასე
გაზრდებულა.

ქმევის ტიბიკონი დაწვლილებით არის კურთხევან-
ში მოყვანილი. სახელი უთუოდ რომელიმე წმიდა-
თაგანის უნდა იყოს. თუ მოსანათლავე დიდი არის უნ-
და დაისწავლოს ზეპირსიტყვაობითი სწავლა კათაკმე-
ველთა, ესე იგი ზეპირსიტყვაობითი დარიგება
მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა. ნათლისღების
დღეს მოიყვანონ ეკკლესიაში და დააყენონ კარებთან.
ეკკლ. მღვდელმან დაიკიდოს რა ოლარი
სამჯერ უნდა შეებეროს აღმოსავლეთისკენ დამდგარს,
რომელსაც ნათლისღება სურს და ამის შემდეგ
სამჯერ ჯვარი უნდა გამოსახოს შუბლზე, პირ-
ზედა, მკერდზე. უნდა დაადვას ხელი თავზე მოსა-
ნათლავს და წაუკითხოს დაწესებული კურთხევანში
კათაკმეველთა ლოცვები.

შემდეგ მესამე ფუცების ლოცვისა მღვდელი
სამგზის მიიქცევის მოსანათლავისადმი ანუ მიმრქმე-
ლისადმი და სამ გზის მისცემს კითხვას: „იჯმნი ეშმაკი-
საგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან დაყოველთა მსა-
ხურთა მისთაგან და ყოველთა ანგელოზთა მისთაგან და
ყოველთა სიბილწეთა მისთაგან?“ მოსანათლავე ანუ
მიმრქმელი წადგება რა დასავლეთისკენ მიუგებს სამ-
ჯერ: „იჯმნი“ ამ სიტყვების თქმის დროს მოსანათლავე

ანუ მიმრქმელი დასავლეთისკენ უნდა იყოს წამდგარი. ამის შემდეგ კიდევ სამჯერ ჰკითხავს მღვდელი: „განაგდებ სატანასა“? და სამჯერ მიუგებს მოსანათლაჲ ანუ მიმრქმელი „განაგდებ“. სმის დასამტკიცებლად, რომ მოსანათლაჲ სწორეთ განეშორა ეშმაკსა და ყოველთა საქმეთა მისთა და ნიშნად მისი შეზიზღებისა მოსანათლაჲ ანუ მიმრქმელი შენერწყევას და შებერავს დასავლეთისკენ.

როდესაც ამას გაათავებენ, შემდეგ მღვდელი ჰკითხავს მას: „შეუდგები ქრისტესა“? და მოსანათლაჲ ანუ მიმრქმელი იტყვის: „შეუდგები“. სამჯერ გამოცდის მღვდელი, თუ როგორ სწამს მას ღმერთი და სამჯერ თვის სარწმუნოებას დაამტკიცებს წარმოთქმითა სიმეოლო სარწმუნოებითა. მრწამსი სამჯერ უნდა ითქვას მღვდლის კითხვების გათავეების შემდეგ და უთუოდ უნდა იცოდეს მიმრქმელმა.

ამის შემდეგ მღვდელი შეიმოსს შესამოსელსა, დასდგმენ ემბაზსა, დაანთებენ სანთლებსა, ჩაასხმენ მასშინა წყალსა, მღვდელი შემოუკმევს გარეშემო და დაიწყებს წყლის კურთხევასა ასამალლებლით: „კურთხეულ არს მეუფება მამისა დაძისა და სულისა

წმიდისა და სხვა“. კურთხეულ და განწმედნილ წყალზე ემბაზში სამგზის ჯვარი უნდა გამოსახოს მღვდელმა ზეთითა და ეს სიტყვები წარმოსთქვას: მოხედენ; მღვდელმან და კრებულმა „აღილუთა! აღილუთა! აღილუთა!“. ემბაზში ჩაყვანამდის მოსანათლავს ცხებენ ზეთსა შუბლზე, მკერდზე, ყურთაზე და ფერხთა ზედა, რომლის ცხებაზე წარმოსთქვამენ დანიშნულ კურთხევანში სიტყვებს. ზეთისცხების შემდეგ მღვდელმა უნდა აიყვანოს მოსანათლავი ბაეში, დააყენოს აღმოსავლეთისკენ და სამგზის ჩაიყვანოს ნაკურთხ წყალში და ამოიყვანოს. პირველ ჩაყვანაზე უნდა სთქვას: „ნათელს იღებს მონა ესე (ანუ მხევალი სახელი), მღვთისა. სახელითა მამისათა ამინ“ მეორეზე „და ძისათა ამინ“! და მესამე ჩაყვანაზე „დასულისა წმინდისათა. ამინ! აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

წყლიდან როდესაც ამოიყვანს მონათლულს საუმცა ვაჟია უნდა კაცმა მიმრქმელმა მიიღოს მკლავზე და თუ ქალია ქალმა მიმრქმელმან.

მონათლულს ემბაზიდან ამოსვლისათანავე უნდა ჩააცვან, თეთრი ტანისამოსი ახალი და ჯვარიც უნდა დაჰკიდონ გულზე.

ნათლის ღებისათანავე მონათლულს უნდა სცხონ მირონი, შუბლზე, ცხვირზე, ფეხებზე და მკერდზე, რომელზედაც უნდა წარმოსთქვან: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმინდისა. ამინ.

ამის შემდეგ იქმნების გარეშემო შემოვლა მონათლულისა მიმრქმელითურთ და მღვდლისა გალობით: „რაოდენთა ქრისტეს მიერისა“..... რომელთაცა მოკიდებულნი სანთლები ყველას გარეშემო შემომვლელთა ხელში უნდა ეკაიხთ, ეს გათავდება თუ არა იქმნება სამოციქულოს და სახარების წაკითხვა და მცირე შეგვიწყალენის შემდეგ კიდევაც გათავდება ნათელა და მირონ ცხება.“

ძველ დროში მირონს მოწმენდნენ ხოლმე შერვე ღღეზყ, მაგრამ რომელთამე გარემოებათაგამო ახლა მღვდელი მაშინვე წაიკითხავს ლოცვას და ღრუბლით მოსწმენდს მირონსა თავისის დანიშნულის სიტყვების წარმოთქმით. მირონის მოწმედის შემდეგ მონათლულს მოჰკვეცს ჯვარის სახედ თმას, გაახვევენ პატარა დარგვალეზულ სანთელში, მისცემენ მიმრქმელს და მიმრქმელმა უნდა ჩაადლოს

ემბაზში. ამის მეტე მტირე შეგვიწყალენის შემდეგ კიდევაც გათავდება მონათვლა სრულებით.

მსეები და სხვაც დაწვრილებით კურთხევანში არიან დაწვრილნი, მაგრამ ძლიერ გასაკვირალია, რომ ზოგიერთები ისე იქცევიან ბავშვის მონათვლის დროს და მისთანა წესებს ხმარობენ, რომ იმის მსგავს ვერ ვპოვებთ კურთხევანში. მაგალითებო: ზოგიერთ ადგილას სოფლებში სარტყელს და ფეხს ახდევინებენ მიმრქმელს.— თუ ვინმემ მღვდელს გარდა წყალი ჩაასხა ემბაზში, იმას არ იხმარებენ. ემბაზის მაგიერად გობს ხმარობენ სოფლებში, როდესაც ბავშვს სამეზის შთათვლენ წყალში, ტანს ბანს მას მღვდელი; ემბაზზე შემოვლების დროს სამთელს არ აძლევენ მიმრქმელს, რომელსაც მღვდელი უნდა ყურადღებას აქცევდეს ამას და ისე მოიქცეს, როგორც კურთხევანში არის დაწვრილი; სარტყლის შემოსხნას, ფეხას გახდას მოსანათლავეილამ თხოულობს წესი თუ დიდი არის და არა მიმრქმელიდან. წყალს ვინც ჩაასხამს ემბაზში ერთია, როდესაც მღვდელი ემბაზს შემოუკმევს გარეშემო და ასამაღლებელს იტყვის, მაშინ წყალი ჩასხმული უნდა იყოს და არა ასამაღლებელის თქმაზე უნდა

ასხამდეს. მშაზი უთუოდ თითვეულს ეკლესიაზედ უნდა იყოს სპილენძის ანუ კალისა, რომელიც ძვირად არ ჯდება. და თუ გაჭირვების დროს ემშაზი არ არის და საქირო არის ბავშვის მონათვლა ისეთი რამე უნდა იყოს, რომ ბავში დაიმალოს წყალში.

მშობელნი თავის ბავშვის ნათლის დროს არ დაესწრებიან ხოლმე, ეს ჩვეულება უთოვოდ იმ დროში იყო, როდესაც ერთი რომელიმე მშობელთაგანი კერპთ თაყვანის მცემელი იყო, მაგრამ დღეს მშობლების განშორებას არა ვითარი აზრი არა ჰქვს, გარდა მისა, რომ ხორციელნი მშობლები დაუთმობენ თავის აღგილს სულიერთა მშობელთა მღვდელი შეასრულებს თუ არა ნათლის დებას, ამ სათაზივე უნდა ჩასწეროს თუ არს, ნამდვილს მეტრიკაში, რომელიც მიცემული აქვს უშპინდესის სინოდის საქართველო იმერეთის კანტარისაგან. მეტრიკა არის ისეთი, რვეული, რომელშიდაცა იწერება დაბადებულნი, დაქორწინებულნი და გარდაცვალებულნი პირნი. მეტრიკის წიგნები ყოველთა ეკლესიებთათვის ერთგვარია. ამ მეტრიკის დაწერას ნამეტანი ყურადღება უნდა მიაქციოს სამღვდლო და საეკლესიო მსახურთა მეტრიკაში დაბადება, მონათვლა, ქორწი-

ნება და გარდაცვალება, როგორც მღვდელ მოქმედება შესრულებს, მაშინვე უნდა ჩაიწეროს და არა შემდეგ, მოგონებით ანუ გამოკითხვით და არცა დედამამია ჩვენებით დასხვათა პირთა. მეტრიკა უნდა იწერებოდეს თვითონ მღვდლისაგან ანუ მისი სწავლებით დიაკვნისა ანუ პრიჩეტნიკისაგან, დიდის გაფრთხილებით და სისწორით. შოველი ამოფხეკა მეტრიჩესკის წიგნში ფიცხლად აღკრძალულია; თუმცა რაიმე შეცდომით ჩაწერა მოხდა, მაშინ ეს შეცდომით ჩაწერილი სიტყვა ფრჩხილში უნდა ჩასვა ანუ ხაზები უნდა შამთავლო ყოველი გვერდით და თავზე გადასწორებული სიტყვა დაწეროს ანუ თუ სულ გათავებული არ არის დაწერილება ხაზ შემოვლებულ სიტყვის შემდეგ დაიწყო რასაც სწერ. ბოლოს უნდა შეამოწმოს მღვდელმა და სთქვას, რომ ამ სიტყვის მაგიერ ეს სიტყვა დაიწერაო. და ეს შემოწმება თავისი და ყველა კრებულის ხელის მოწერით უნდა დაამტკიცოს. მღვდელი ვალდებულია, როდესაც მეტრიკაში ჩაწერავს დაბადება იქმნება, მონათვლა თუ ქორწინება უჩვენოს მშობელთა და იმ კარდაცვისა ცხელსა შეეხება და წაუკითხოს მათ და თუ სხვა მათი თანახმა განდებიან და არაფერს შეცდომას აღმოაჩინოს

ჩვენ უკანასკნელ ხანში უნდა მოაწერინონ ხელი, რომ წაიკითხეს მათ, მაგრამ არაფერი უსწორმასწორობა არ აღმოჩენილ არს. ამაზე ხელი უნდა მოაწერონ იმ უკანასკნელ ხანში. ხელი სხვა მოწმებთანაც უნდა მოაწერონ, რომელნიც დაესწრენ მღვდელ მოქმედების აღსრულებაზე.

თუმცა მრევლის მღვდელი არ იმყოფება შინ და სხვა მღვდელმა შეასრულა მღვდელ-მოქმედება, მაშინ ის არის ვალდებული, რომ მისგან შესრულებული მღვდელ-მოქმედება მან ჩასწეროს მეტრიკაში და თვითონვე მოაწეროს ხელი. შოველ თვითო სტატიას მღვდელმა და მთელმა ჭრებულმა ხელი უნდა მოაწეროს. თვის გათავების შემდეგ კრებულმა უნდა შეამოწმოს მეტრიჩესკის წიგნი და რამოდენიც იქმნება მონათლული ანუ გვირგვინ ნაკურთხი და გარდაცვალებული შეამოწმოს და შემოწმებაში უნდა მოიხსენიოს ჯერეთ სიტყვით და მერმე რიცხვით. წლის განვლის დროს წიგნი უნდა განიხილონ და ყველასაგან ხელ-მოწერილი უნდა წარუდგინონ ბლადოჩინთა პირებით ანუ შავე-ბითურთ. ბოლოს მეტრიკაზე უნდა დააწერონ, რომ პირი იმ მეტრიკისა უმეტ-ნაკლებოდ დატოვებულ

იქმნა ეკლესიაში შესანახავად. თუმცა წიგნი ყველა
ლასაგან არ არის ხელმოწერილი, უნდა იყოს ახსნილი
რა მიზეზისათვის არ აწერენ ხელს.

მართლად წარმოება მეტრიჩესკის წიგნთა და
თავის დროზე წარდგენა სადაც ჯერ არს ვალად
აქვს დადგენილი არა თუ მართო მღვდელს, არამედ
დიაკონს, პრიჩეტნიკს და პანომარსაც.

ბლაღოჩინები ვალდებულნი არიან ეკლესიე-
ბის დახედვის დროს წელიწადშიდ ორჯერ განიხი-
ლონ ყველა სტატიები მეტრიჩესკის წიგნთა ნახევა-
რი წლისა და სისწორით და მართლად წარმოება
მათი დაამოწმონ თავისი საკუთარი ხელის მოწერი-
თა. (მეტსრე ტომის კანონ. სტ. 1571, 1572).

თავი მეხამე

ორიოდე სიტყვა მასზე

მუ ვითარ აღსრულდება შემოერთება მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან ფრანგთა (კათოლიკებთა) პროტესტანტთა, რასკოლნიკთა და სხვა ამ გვართა პირთა.

როგორ შესრულდება მირონ-ცხება ყრმათა ზედა,—ეს იცის ყველა მღვდლებმა, მაგრამ რაიცა შეეხება მირონის ცხებას სრულ წლოვანთა დიდთა პირთა, რომელნიც შემოერთდებიან და მიიღებენ მართლ-მადიდებელ საწმუნოებას, ამაზე არის დაწესებული შემდეგი დადგენილობანი:

ა.) მირონის ცხებით შემოუერთდებიან მართლ-მადიდებელს ეკლესიას პირნი, რომელთაცა არ მიუღიათ ეს საიდუმლო კანონიერი მღვდლისაგან, როგორც არიან მავალითებრ: ლოთრანგნი, რეფორ-

მატორები, რასკოლნიკნი, შობილნი და მონათ-
ლულნი რასკოლნიკობასა შინა მყოფნი, და საზო-
გადოთ ყველა ის პირები, რომელზედაცა არ არის
ცნობა მირონ ცხებულ არიან თუ არა. (წიგნი ჰრბი-
ხოდის მღვდელთა თანამდ. (§) პთ].

ბ.) უწმინდესის და უმართებელესის სინოდის
უქაზითა ძ-ს თებერვლიდამ ჩემ წელსა ჰაქვსთ ნე-
ბა მიცემული მრევლის მღვდლებს, წინეთ შეუტყო-
ბელად და ნება დაუბრუნებლად ყოველთვის ეპარხიის
მღვდელთმთავრისა შეუდგნენ მოქცევას ერთ მორწმუ-
ნეთა მართლ-მადიდებელის ეკლესიისადმი, დაცვითა
შემდეგ კანონებთა.

ა.) რომელსაც სურს მოქცევა მართლ-მადი-
დებელის ეკლესიისადმი ლოთრანგთა, ფრანგთა,
რასკოლნიკთა, ანუ სხვათა ამისთანათა, მღვდელმან
წინეთ ყოვლისა უნდა დაარიგოს და დაამტკიცოს
მართლ-მადიდებელის სარწმუნოების სწავლაზე; დაას-
წავლოს მას სიმვოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება,
მიუცილებელად საყოველღეო საჭირო ლოცვები
და სხვა ამისთანა.

ბ.) შემდეგ მართლ-მადიდებელის ეკლესიის
მაძიებელს უნდა ჩამოართვას ჩვენება და აღთქმა.

მასზე, რომელ იგი დაშთება მარადის მართლ-მადიდებელს აღმოსავლეთის ეკლესიასა შინა შეუცვლელად, ხელწერილში რიცხვი უნდა იყოს გამოცხადებული [უქაზი უწმ. სინოდისა ჩემ წელსა ფებერვლის კ-ს].

ბ.) ამის შემდეგ მართლ-მადიდებელთ ეკლესიასთან შეერთების მახურონეს მღვდელმა უნდა აღიარებინოს ყველა მისი ცოდვა, რომელნიცა ახსოვს მას სიყმიდგან, მაგრამ, რომ მოისმინოს აღსარება, არ უნდა წაუკითხოს მას შენდობის ლოცვა, არამედ უნდა წაუკითხოს მას შენდობის ლოცვა თვით მირონის ცხების შემდეგ: [ასილე წესი მოქცევისა მართლ-მადიდ. ეკკლ. ბ. გვერდი].

ღ.) შესრულების შემდეგ ყველა წესებთა წაკითხების შემოერთებულსა ზედა შენდობის ლოცვა, საიდუმლო სინანულისა და თუ შემოერთება აღსრულებული იქმნა წირვამდის, მაშინ ეღირსების იგი დაწესებულ წირვის დროს წმინდათა ქრისტეს საიდუმლოთა.

ჩვეულებრივი წესი შეერთებისა ანუ მოქცევისა მართლ-მადიდებელის ეკლესიისადმი სხვა სარწმუნოების პირთა შემთხვევის დროს მძიმე ავათ-

შყოფობისა მათისა შემოკლდების. სხვა სარწმუნოების პირნი, რომელნიცა მიიღებენ საიდუმლო მირონის-ცხებასა და ჰაქვს კანონიერი მღვდელობა [რომის კათოლიკები] და მირონ-ცხებულ არიან შემოუერთდებიან ეკლესიას ერთი აღსარებითა და მღვდლის თავზე ხელის დადებითა; და ისინი რომელთაც არა ჰაქვსთ ეს საიდუმლო, — წმიდა მირონის ცხებითა და მხოლოდ ერთი შუბლზე ცხებითა. ამასთან უნდა იქმნეს მათზე დაწესებული ლოცვა თხოვნისა წაკითხული: „უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, ერთო წმინდაო, რომელი წმიდათა შორის განისვენებ... „და მიტევებისა:“ უფალმან და ღმერთმან ჩვენმან იესო ქრისტემან, რომელმან კლიტენი ზეცათა სასუფეველისანი მისცნა მოციქულთა და მისცა მათ ყოველი უფლება თვისითა მადლითა, შეკვრისა და განხსნისა ცოდვათა კაცთასა ქვეყანასა ზედა და სხვანი“....

ამის შემდეგ შეერთებული ეზიარების წმიდათა საიდუმლოთა. (უქ. სინოდ. ჩუ წელსა ფებერვლის გ-ს).

ახალი წლის დაწყებისას სამღვდლო და საეკლესიო მსახური წარადგენენ რაპორტით მეტრიჩესკის გამოწერილობას და ჩვენებას ჩამორთმეულს

მართლ მაღიდებელთ ეკლესიასთან შეერთებული-
საგან წინეთ წესის შესრულებამდის. (უქაზ. უწ. სინ.
ჩუდე წელსა აგვისტოს კე-ს).

თუმცა მღვდელი ამ საქმეში შეხვდა საეკო-
რამესა, მაშინ არ უნდა შეუდგეს შეერთებას ერთ
მორწმუნეთა, არამედ ვალდებულია მოახსენოს ეს
დაუყოვნებლივ ყოველად სამღვდელოს, საეკო მი-
ზეხების აღწერიტა. რომელისგან ხილვის შემდეგ
ყოველად სამღვდელო ანუ მისცემს მღვდელს ნებას
პარდაპირ, ანუ, თუ საჭირო იქმნება, მისწერს
ფორმალური გამოძიების დანიშვნას კანსისტორიას.

ხელ წერილები, ჩამორთმეულნი შეერთებულ-
თაგან, უნდა იყონ დაცულნი კანსისტორიის ანუ კან-
ტორიის არხივაში მეტრიჩესკის წიგნებთან. [უქა. უწ. ს.
ჩუდე წელს ფებერვლას კ-სა დღესა].

თავი მეოთხე

ხშირად მოხდება, რომ შეხედეს მღვდელს მონათელა არა მარტო პატარა ბავშვის ქრისტიან მშობლებთან დაბადებულთა, არამედ გაზრდილი პირის სხვა სარწმუნოებისა: ურიათაგანის და თათრის მონათელაც. ამისათვის საჭირო იქმნება, რომ ამაზედაც ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა იმ მღვდლებთან, რომელნიცა საჭიროებენ ამის ცოდნას.

ჩვენი სახელმწიფოს კანონის ძალით თუ სხვა სარწმუნოების პირნი ინათლებიან, რომელთაცა შეილები ჰყავთ, მათთანვე უნდა მოინათლონ მათი შეილებიც, რომელნიც შეიღწეულნი ნაკლები იქმნებიან; თუმცა ცოლქმარში ერთი რომელიმე ინათლება, მაშინ თუ ქმარი ინათლება ბავშები უნდა მოინათლონ მამასთან შეიღწეულნი ნაკლები, რომელნიც იქმნებიან მამრის სქესისა და თუ ცოლ

ინათლება მაშინ ასულები შვიდ წელზე ნაკლების
მქონენი. (მეცხრე ტომის 1302 ჩტბ. სტატია.)

მ) უ დიდი ვანზე ეძიებს ნათლისღებას ებრა-
ელთაგან, თათართა ანუ კერპთაყვანისმცემელთაგან
მათი მონათვლა მღვდელმა ეპარხიის მთავრობის
ნება დაუროველად არაოდეს არ უნდა მოახდინოს.
ეპარხიის მღვდელმთავრის ნება დართვით ყველა
მღვდელს შეუძლია მათზე ნათლისღების შესრულე-
ბა. (სასულიერო უსტავი ლა 31 სტატია.)

პრქიერის ნება დართვით და საჭირო ცნობე-
ბის შეკრებისა მოსანათლავეზე: ვინ არის იგი, სად
მცხოვრებელია, რამდენი წლის არის, როგორი ბი-
ლეთი ჰქვას, მღვდელმა უნდა ასწავლოს მას მრწა-
მსი ე. ი. სიმგოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება,
საუფლო, მღვთისმშობლის და სხვა ლოცვები; უნ-
და ჩამოართვას წერილობითი ჩვენება მასზე თუ
როდეს და სად არის დაბადებული და ვინ არის
მისი მშობლები, სად ცხოვრებენ იგინი, ცოლიანო
თუ უცოლო, ანუ თუ შეიღები ჰყავსთ თუ არა;
თუ ჰყავს რომელი აღსარებისანი არიან. წრფელი
სურვილით ნებავეს მას მართლმადიდებელის სარწმუ-
ნოების მიღება და დაცვა მისი შეუცვლელად და

სასრულამდისინ თავის სიცოცხლისა თუ რაიმე სა-
ხისა და სარგებლობისათვის იღებს იგი ქრისტიანო-
ბის სარწმუნოებას. შველა ეს ჩვენება და გამოცდა
მის სწავლაზე მღვდელმა უნდა წარუდგინოს მღვ-
დელმთავარს, ანუ კანსიქტორიას და თვითონ ნათ-
ლისღების მიმღებიც უნდა წარუდგინოს თუ საჭირო
იქმნება. თუმცა მოსანათლავს საჭირო დოკუმენ-
ტიმელო სარწმუნოებისა და ათი მცნება ეცოდინ-
ება ხელახალ ბრძანებას მიიღებს მღვდელმთავრ-
საგან. მღვდელი ჩამოართმევს მოსანათლავს პირო-
ბას წერილობით, რომ იგი შეუცვლელად დარჩება
წევრად წმიდა კათოლიკე მართლმადიდებელის ეკ-
ლესიისა სიკვდილამდე. ამის შემდეგ მღვდელი კვი-
რას ანუ დღესასწაულ დღეს შეასრულებს მასზედა
წმიდა ნათლის ღებას უთუოდ წირვამდის, რაც შეიძ-
ლება ბევრი ხალხის დასწრებით. ამის შემდეგ
უნდა დასწეროს მეტრიკაში, როგორც მეტრიკის
ფორმაში არის მოყვანილი. მეორე კვირას ანუ
იმდღესვე მღვდელმა მოამზადოს და ახიაროს მო-
ნათლიული და ყველა ამის ასრულება უნდა მოახ-
სენოს მღვდელ მთავარს მისი მოცემულის პირობის
და მეტრიჩესკის მასზედაა მოწერილობის წარდგენით.

თოთხმეტ წელზე ნაკლებ მექონ ურიათაგანის, მახ-
მადიანთაგანის და კერპთაყვანის მცემელთაგანი ა
პირთა ზედა საიდუმლო ნათლისღების-შესრულება
ნება დაურთველად მათი მშობლებისა ანუ მათი ავე-
კუნებისა არ შეიძლება, მხოლოდ უწმინდესი სინო-
დის შეხედულობით და გამოკვლევით შეიძლება მოხ-
დეს ნათლის ღება ამისთანა პირთა ზედა და ისიც
მაშინ, როდესაც რაიმე პატივსაღები მიზეზი იქნება.

თოთხმეტ წელზე ზევით მექონე სხვა სარწმუნ-
ოების პირთა ზედა შეიძლება ნათლისღების შეს-
რულება თვინიერ მშობლებთა და მათის მზრუნვე-
ლების ნება დართვისა, თუმცა შეტყობილი იქმნება,
რომ ნათლისღების მოსურნე პირთა საკმაოდ იცინ
დოღმატები მართლმადიდებელის სარწმუნოებისა და
თვითონ თხოულობენ ნათლისღების მღერბას და
მართლმადიდებელის ეკლესიასთან შეერთებას.

რომელნიც ოცდა ერთი წლის არ არიან სხვა
სარწმუნოების პირთაგან უნდა იქმნენ და რიგებულნი
მართლმადიდებელის სარწმუნოებაზე ექვსი თვის გან-
მავლობაში და სრული წლოვანნი სხვა სარწმუნოე-
ბის პირნი ორმოც დღეში უნდა იყვნენ მომზადე-
ბულნი. მაგრამ საჭიროებისათანა და თუ მოსანათ-

ლაფი კარგად მომზადებული არის შეიძლება მოკლე დროშიაცა. თუმცა ნათლისღების მოსურნე სხვა სარწმუნოების პირთაგანნი ძლიერ ავით არის და თხოულობს ნათლისღებას დაუყოვნებლივ უნდა მონათლოს მღვდელმა, მაგრამ პირველად უნდა დარწმუნდეს, რომ სწორეთ მიმეთ არის ავით და მართელს ჭკუაზე არის, რომ გამოთქვან თავისი ნება. ამისთანა ნათლისღების შესრულებაზე დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს მღვდელმა არქიერს და თუ მონათლული დარჩება ცოცხალი, მაშინვე თვით საიმედო პირს უნდა მიაბარონ უმეტესად დარიგებისა და დამტკიცებისათვის მართლმადიდებელს სარწმუნოებაზე.

ნათლისღება სხვა სარწმუნოების პირთა ზედა უთუოდ ეკლესიასა შინა უნდა იყოს შესრულებული ადგილობითი სამოქალაქო მთავრობის თანადასწრობით, რომელიც როგორც მღვდელი საიდუმლოს შემსრულებელი აგრეთვე ისიც ვალდებულია, რომ გაიგოს წრფელი სურვილით იღებს ნათლისღებას და ჯეროვანის გაგების შემდეგ თუ არა. ამათან კეთილ საიმედო მოწმებიც უნდა დაესწრონ. თუ შეტყობილი იქმნა, რომ მოსანათლაფი

რიგიანად არ არის დამტკიცებული მართლმადიდებელს სარწმუნოების სწავლაზე და წრფელი სურვილით არ შეუდგება მონათელას საიდუმლო ნათლისღებისა, არას გზით არ უნდა იქმნეს შესრულებული მათზე.

ნათლისღების შესრულების შემდეგ მახლოზელი ადგილობრითი სამოქალაქო ნაჩაღნიკი ვალდებული არის ნათლისღების შესრულება დაამოწმოს თავისი საკუთარის ხელის მოწერითა. არის კანონი, რომ თუ ნათლისღების მოსურნე პირი ისე არის მიხმედ ავთ, რომ არ შეუძლია გამოთქმა ანუ ნიკი ლაპარაკისა დაკარგული აქვს, მსოფლიო კრების და წმიდა მამანების დაწესებული კანონებით შეიძლება ამისთანა პირნიც მოინათლონ სარწმუნოებისა და სურვილისა მებრ მიმრქმელთა, ე. ი. თუ მიმრქმელნი იტყვიან მას სათქმელ სიტყვას და თავისთავზე მიიღებენ პასუხის გებას და დაამოწმებენ მათ მონათელის სურვილს. (კაწფაგენის კრების 54. ნ. დ. კანონი.) ნათლისღების დანიშნულ დღეს თუმცა ქალთა წესი გაუჩნდა ნათლისღება გადაიდგება მეორე დროს და ვინემ არ განთავისუფლდება არ უნდა მოინათლოს.

მღვდლები ვალდებულია ახალ მონათლულთა და-
ამტკიცებდნენ მართლმადიდებელ სარწმუნოების სწავ-
ლაზე და განაშორებდნენ უწინდელ მათ წესებთაგან (სა-
სულიერო კანს. უსტ. განყოფილება 11 32 ლხ სტატია.)
ამისათვის მათ უნდა ჩააგონონ მართლმადიდებელის
ეკკლესიის მოთხოვნილებების აღსრულება, უყუროს
მათ ყოფაქცევას და განაშორონ იმისთანა საზოგად-
ოებათა და პირთაგან, რომელთაც მათზე ექმნება
კუდი გავლენა. **თ**უმცა მღვდელმა შენიშნოს, რომ
მონათლული არ იქცევა ისე, როგორც მოითხოვს
და შეფერობს მართლმადიდებელის აღმსარებელის
პირს უნდა იხმაროს ყოველივე ღონის ძიება ჩაგონ-
ებთ და დარიგებით მოაქციოს და დააყენოს სწორ
გზაზე და ბოლოს მოახსენოს მღვდელ მთავარს. **თ**უ
მღვდელ მთავრის განკარგულების შემდეგ არ მიიღო
ჩაგონება, მაშინ მღვდელმთავარი მიიქცევა სამოქალ-
აქო მთავრობასთან საჭიროებისამებრ. (მეთოდსმე-
ტე ტომის კანონები სტატიები 55, 56, 59 და სასუ-
ლიერო კანსისტორიის უსტ. სტ. 32 ლხ.)

აკ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ რამოდენი-
მე სიტყვა დიდი კურთხევიდამ მოქცევასა ზედა
იუდეანთა და თათართა მართლმადიდებელის სარ-

წმუნოებისადმი, რომელიც საჭირო არის იცოდეს მღვდელმა ყოველს შემთხვევაში.

რომელი იუდეანთაგან სარწმუნოებასა მართლმადიდებლობითა ქრისტიანეთასა მოუხდებოდენ აღსარება უხმს მას, და განქიქება ყოვლისა წესისა და ჩვეულებისა იუდეანებრივისა, რათა ამიერ აჩვენოს, ვითარმედ ყოვლითა გულთა და სარწმუნოებითა მტკიცითა, ნებაეს მას ქრისტიანე ყოფად, და ჯმნა უკვე ცხადად ყოველსა ეკლესიასა ზედა ყოვლისავე იუდეანთა სარწმუნოებისაგან, ცხად არს ვითარმედ, პირველად მღვდლისა მიერ თქმითა თვითოეულზედ და მერმე მიგებითა მისითა და ჯმნა ესე არს შემდეგი:

მიჯმნი ყოველთავე იუდეანებრივთა წესთაგან, და ქცევათა, და ჰსჯულთაგან, და უცომოთა, და მახვერპლისა, და კრავისა, და საყვირთაგან, და კარობათა, და სხვათა ყოველთა დღესასწაულთაგანებრაელთასა, და მსხვერპლთაგან, და ლოცვათა, და სხურებათა, და განწმედათა, და ლხინებათა, და მარხვათა, და თვის-თავთა, და შაბათთა, და მენიშნობათა, და შელოცვათა, და საცოთა, და დასა-

წველთა. და ერთბამად ვიჯმნი სრულებით ყოვლი-
სა იუდეანებრისაგან საქმისა, და სჯულისა, და წე-
სისა, და ქცევისა. და ყოველსავე ზედა ვიჯმნი სა-
ხითა ქოსითა იუდიანთა მიერ მოლოდებადისა მის
ანტე-ქრისტესგან. და მოუხდები, და შევეწყნარები
ქეშმარიტსა ქრისტესა და ღმერთსა, მპრწამს მამისა
მიმართ, და ძისა და სულისა წმიდისა, და თანა-
არსისა და განუყოფელისა სამებისა, და ხორციელთა
განგებულებასა, და კაცთა მომართ მოსვლასა, ერთი-
სა სამებისაგანისა, სიტყვისა ლეთისასა აღვიარებ, და
ქეშმარიტებით კაც-ქმნასა მისსა ვირწმუნებ. არა
განშორებულად თვისსა ღმრთაებისაგან. და ხორ-
ციელად მშობელსა მისსა წმიდასა ქალწულსა მა-
რიამს, ქეშმარიტად და საკუთრად ლეთის-მშობე-
ლად, მრწამს, და აღვიარებ და ვიტყვი. და თაყვა-
ნის-საცემელს ჯვარსა ძრისტესსა, და წმიდათა ხატ-
თა, შევიწყნარებ და პატივ-ვჰსცემ, და ამბორს-
უყოფ, და შევიტკობ. და ესრეთ ყოვლითა სული-
თა და გულითა, და სარწმუნოებითა. ქეშმარი-
ტებით მოუხდები სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა,
ხოლო უკეთუ ჩემობით და ზაკვით ვიტყვი ამათ,
და არა ყოვლითა გულითა და სულითა, სარწმუნო-

ებით შემოიყვარებინეს ქრისტე, და შაკვით ვიხეებ
ქრისტიანე ყოფასა, ხოლო უკანასკნელ მნებაჲს უა-
რის-ყოფა, და კვალად იუდეანებრისავე სარწმუნოე-
ბისა მიმართ მიქცევა, ანუ ვიბოგო თანა-მჭამელად,
და თანა-მედღესასწაულედ იუდეანთა, ანუ ფარუ-
ლად თანა-მოუბნარად მათდა და მგიობელად ქრის-
ტიანეთა, და არა უფროს ვამხილო მათ ცხადად,
და უარ-ვჰყო ამო სარწმუნოება მათი, მოიწიოს
ჩემ ზედა ძრწოლა ქაენისი, და კეთროვნება გეზისი.
ამათ თანა სამოქალაქოთაცა და კაცობრივთა ჰსჯულ-
თა მიერისა განპატიჟებისა თანა-მდებ ვიყო ხორ-
ციელთა მთავართაგან, ხოლო მერმესა საუკუნესა
წყეულ-ვიყო და შეჩვენებულ, და სული ჩემი დაი-
წესენ სატანას თანა და ეშმაკთა მისთა თანა.“

ამას, რომ იტყვის ეკკლესიასა შინა მომავალი
ნათლისღებად შევრაცხო ვითარცა უნათლავსა ქრის-
ტიანსა. მეორესა დღესა უნდა წაუკითხოვნი ლოცვა,
რომელიცა ითქმის კათაკმეველთა ყრმათა ზედა და
მასთან აღსრულდება. მას ზედა წესი სრული ნათ-
ლისღებისა.

ამის აღსრულებრს შემდეგ ნათელღებულმა
უნდა უარ ჰყოს და შეჩვენოს ყოველნი იუდეანთა

მსჯულის საქმენი, წესნი, ჩვეულებანი და ქცევანი და ამასთან უნდა შეაჩვენოს იუდეანთა შორის აღმოცენებულნი წვალეზანი და მწვალეზელნი, რომელ არიან, მაკალითებრ: სადუკეველნი, ფარისეველნი, ნაზირეველნი, მკისიელნი, იოროდიანი, დღითიდღე ნათლის მღებელნი და მწიგნობარნი და სხვ...

ვრცლად დაწერილი ამის ტიბიკონი ისილუ ვრცელ გურთსეკანშიდ, თავი ჟა, გვერდი ქვე—ქოდ.

თუმცა ვინმე თათართაგანი სურვობდეს ნათლისღების მიღებას, უნდა მოამზადონ იგი მარხულობით და ასწავლონ მას საუფრო ლოცვა და სიმოცლო სარწმუნოებისა. შემდეგ შეიმოსების მღვდელი სამღვდელი შესამოსელითა სანათლოსაშინა. მოუწოდს მას და დააყენებს მახლობლად წმიდისა ენბაზისა თავ მოხდილისა და ეტყვის მას: „მე ესე ვინმე (სასჯელი) სარაკიანთაგან მოსრული სარწმუნოებისა მომართ ქრისტიანეთასა, არა იძულებისა რასამე, ანუ ჭირისაგან, არცა ზაკვით, ანუ ჩემებით. არამედ ყოვლითა სულითა, და გულითა წმინდითა, და უზაკველითა, და ქრისტეს სარწმუნოებისა შეყვარებითა, ვიჯმნი ყოვლისა სარაკიანთა სარწმუნოებისაგან, და

შევაჩვენებ მაჰმედსა, რომელსა სარაკიანნი პატივს
ჰსცემენ, ვითარცა მოციქულსა ლეთისასა.“

ხოლო სარაკიანობისაგან ნათლისღებად მომავალი უნდა იტყოდეს ამა სიტყვითა, როგორც ეს-
მოდეს მღვდლისაგან; და თუ თვითონ არ იცოდეს
ქართული ანუ რუსული ენა, უნდა უთარგმნიდნენ,
ანუ მიმრქმელს ათქმევიანებდნენ თუ ჩვილი ინათ-
ლებოდეს.

ამის შემდეგ იქმნება შეჩვენება ყოველთა მოქ-
მედებათა, სჯულთა, და ჩვეულებათა მაჰმედიანთა.

გრძელი — დარიგება და წესი, რომელი იქმნება
მოქცევისა ზედა მაჰმედიანთა არის დიდ გურთსეკანში.
თაკი ზბ. გვერდი ქოდ, — ქოთ.

თავი მეხუთე

ქორწინებასა ზედა.

„ქორწინება არის ისეთი საიდუმლო, რომელსა შინა კაცი და ქალი ურთი ერთის თანახმობით აღთქმისა მღვდლის და ეკლესიის წინაშე ყოველთვის დაცვად მეუღლეობითი კავშირის რწმუნებისა იკურთხევის მეუღლეობითი კავშირი, სახისამებრ კავშირისა ძრისტესა ეკლესიისათანა, მღვდლისაგან და მოითხოვების მათ ზედა მადლი ერთ სულობისა შობასა და ქრისტიანულ აღზრდასა ზედა შეილთა.“

ქორწინების შესრულებისათვის საკმაო არ არის მარტო სურვილი სასიძოსი და სარძლოსი, როდესაც კაცი და ქალი სთხოვენ მღვდელს მათზე გვირგვინის კურთხევის შესრულებას, მათზე მღვდელმა საფუძველსა ზედა საეკლესიო და სამოქალაქო კანონებთა და დადგენილობათა უნდა შეკრიბოს ყო-

ველივე საჭირო ცნობაებზე, რომელნიც მოითხოვე-
ბიან ობისკის წიგნით.

მისთვის, რომ ყოველთვის კანონიერად შეს-
რულდებოდეს ქორწინება, არის დაწესებული წინეთ
ქორწინებისა გაფრთხილება და გამოკითხვა, რომლის
აღსრულებას ყოველმა მღვდელმა დიდი ყურადღება
უნდა მიაქციოს. წინეთ ქორწინებისა გაფრთხილება
არის გამოკვლევა ყოველთა საჭირო გარემოებათა
და ცნობაებთა შეკრება სასიძოზე და სარძლოზე,
რომელიც უნდა შეიკრებოს ქორწინების შესრულე-
ბამდის. ის წიგნი, რომელშიაცა ეს გამოკვლევა და
გამოკითხვა იწერება იწოდება ობისკის წიგნად.
ობისკის წიგნის ფორმა ერთგვარი არის დადებული
უწმიდესი სინოდისაგან ყოველთა ეკკლესიებთათვის.
ჩუღზ-ს წელსა, რომელიცა განიყოფება ათ მუხლათ.

რადგან ყოველი საჭირო ცნობაები, რომელიც
მღვდელმა უნდა შეკრიბოს სასიძოზე და სარძლო-
ზე, კანონიერად ქორწინების შესრულებისათვის მო-
ითხოვებიან ამ ათი მუხლითა, ჩვენ გავარჩევთ და
ვაჩვენებთ თუ როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი
ობისკის შედგენის დროს.

შისაც სურს ქორწინება უნდა მოვიდეს მღვდელთან, დასწეროს წოდება, თავისი და მამის სახელი და გვარი და თავისი საცოლოსიცა, განუცხადოს მას თავისი სურვილი. (მკათე ტომის კანონი გრ. ნაწილი პირველი სტ. კე.)

მღვდელმან სამჯერ უნდა მოახდინოს გამოცხადება დღესასწაულ დღეებში და მოითხოვოს თუ ვინმემ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი იცოდეს გამოუცხადონ მას. თუ რომელიმე მათგანი ანუ კაცი ანუ ქალი სხვა სამრევლოსა არის, იმ მრევლის მღვდელს უნდა აცნობოს და სთხოვოს თავის მხრით სამჯერ მოახდინოს გამოკითხვა და თუ არაფერი დამაბრკოლებელი მიზეზი აღმოჩნდეს მოწმობა უნდა გაუფხავნოს გვირგვინის კურთხევის შემსრულებელ მღვდელს (იქვე კე). მღვდელმა, რომ ეს გამოცხადება მოახდინოს უთოვოდ ერთი კვირით წინეთ უნდა აცნობოს გვირგვინის კურთხევის მსურველმა პირმა. თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი იცის ვინმემ ქორწინების შესრულებს—ყველანი ვალდებულნი არიან აცნობონ მღვდელს ანუ წერილით ანუ სიტყვიერად. (მკათე ტ. შინ. ნაწ. კზ სტატია.)

საქორწინო ობისკში პირველ მუხლში ნახვენება
წოდება, ჩინი, ადგილი მსახურებისა, სასული, მამის სა-
ხელი და გვარი, საწმენოება და ადგილი ცხოვრებისა.
მეორე მუხლში ამისთანა ცნობაები არის ნახვენები სას-
ძლოზე.

თვითეულს ამათ უნდა მიაქციოს მღვდელმა
ყურადღება. სასიძოს და სასძლოს წოდებას და მდ-
გომარეობას უნდა მიაქციოს მღვდელმა ყურადღება
მისთვის, რომ არის ზოგიერთი ისეთი წოდება, რომ-
მელიც დაბრკოლებას აძლევს ქორწინების შესრუ-
ლებას; მაგალითებრ:

შავთა და თეთრთა სამღვდლო პირთა და დია-
კონთათვის დაშლილია ქორწინება ვიდრემდის იგი-
ნი თავის ხარისხში იმყოფებიან (მკათე ტომის კანონ-
ები პირველი ნაწილი სტ. ბ).

არ ეძლევა ნება მეორედ ქორწინებაში შესე-
ლისა იმ პირთა, რომელნიცა დამნაშავენი იქმნე-
ბიან პირველი ქორწინების გაყრისა მრუშებითა ანუ
სხეულებითის ნაკლოვანობითა და ხუთის წლის
თავის ცოლისგან გაუგებლად განშორებითა. (იხი-
ლე X ნაწილი პირ. სტატ. მს. სასულიერო კანონ. უს-
ტავის სტატ. სნკ. 12 56).

პრ ეძლევათ ნება ტუსაღებს ქორწინებაში
შესვლისა, რომელნიცა იყოფებიან ტუსაღების რო-
ტაში, ვიდრემდის როტაში იქმნებიან. (მე-X ტამ.
სტ. ით.)

პრ ეძლევათ ნება გვირგვინის კურობევისა სას-
წაფლებელთა შინა სახელმწიფო ხარჯზე მყოფთა
შაგირდებთა, ვიდრემდის კურსს არ შეასრულებენ.
და კანტანისტებსა. (უკ. უწ. ს. ჩუკაწელსა მასის ით.)

პრ ეძლევათ ნება ქრისტიან მართლ-მადიდე-
ბელის სარწმუნოებისას ქორწინებაში შესვლისა არა
ქრისტიანეთაგანთა (მეათე ტამ. კან. 5. ნაწ. სტ. 3.)

დასარწმუნებლად იმისა, რომ ქორწინებით შე-
უღვლვის მოსურნენო მართლ-მადიდებლობის სარ-
წმუნოებისანი არიან მღვდელმა უნდა მოითხოვოს
მათგან მოწმობა მათის მღვდლისა, რომ მათ სქთვეს
აღსარება თავის მრევლის მღვდელთან და მიიღეს
წმიდა საიდუმლო ზიარება. თუ მღვდელი ვერ იც-
ნობს მათ და არც მოწმობის მოენა შეიძლება, მა-
შინ მღვდელმა, რომ არ შესცდეს, თვითონ უნდა მოა-
მზადოს იგინი: ათქმევინოს აღსარება და აზიაროს.
ძველ დროში დადებული იყო: ვისაც ქორწინებაში
შესვლა სურდა, ის ლოცუიო და მარხულობით მო-

ემზადებოდა, ეზიარებოდა და შემდეგ იქორწინებდა.

ქორწინების შესრულების წინეთ მართლ-მადიდებელთა პირთა მღვდელმა უთუოდ უნდა ჰკითხოს მათ საუთლო ლოცვა, მრწამსი სიმეოლო სარწმუნოებისა და ათი მცნება, თუ სასიძომ და სარძლომ არ იცოდნენ არ უნდა უკუთხოს გვირგვინი, ვიდრემდის არ ისწავლიან. სირცხვილია ყველა მართლ-მადიდებელ პირთათვის, რომ ქორწინებაში შესვლა სურდეს და ის არ იცოდეს თუ როგორ დაარიგოს თავისი შვილი. (კოჩჩი . თავ. ნ. ფურცელი 67).

როდესაც ერთი პირი მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა და მეორე ფრანგი, სომეხი ანუ ლათინანგია მას უნდა ჩამოერთვას ხელწერილი ბავშვების მართლ-მადიდებელის სარწმუნოების აღზრდაზე, რომლის ფორმა ქვემოთ არის მოყვანილი.

მღვდელმა უნდა მიაქციოს ყურადღება თუ სად მცხოვრებელნი არიან სასიძო და სარძლო. მღვდელმა სხვისი სამრევლოთაგანის პირზე გვირგვინის კუთხევა არ უნდა შეასრულოს თანახმად ეკლესიის წესისა და სხვა და სხვა დროს გამოსულთა

უქაზებთა. სხვის სამრევლოთაგანის პირზე მხოლოდ მაშინ შეიძლება გვირგვინი უკურთხოს თუ იმ მღვდლის ნება ექნება, რომლის სამრევლოშიაც სცხოვრობს სასიძო ანუ სასძლო.

გვირგვინის კურთხევა უნდა შესრულდეს სასიძოს სამრევლოში, მაგრამ რადგან ჩვენში ჩვეულებათ არის დადებული გვირგვინის კურთხევა იმ სამრევლოში უნდა შესრულდეს, რომელშიაცა სცხოვრობს სასძლო. ამ წესზე უნდა იდგეს ყველანი.

მესამე მუხლი ობისკის წიგნისა მოითხოვს, რომ სასიძო და სასძლო იკონ სრული ასაკოვანი და მშთელი ჭკუისანი.

ჩვენში სასიძოს უთუოდ უნდა ჰქონდეს თუთხმეტი წელი შობილამ და სასძლოს ცამეტი, მაგრამ რუსეთში დაბადებულთათვის და იქ მცხოვრებთათვის სხვა კანონია დადებული. იქ სასიძო უნდა იყოს უთუოდ თვრამეტი წლის და სასძლო თექვსმეტის წლისა (მეათე ტომ. პირველი ნაწილი სტ. გ.)

თუმცა მღვდელმა მცირეწლოვანზედ შეასრულა ქორწინება უთუოდ შეტყობისათანავე ეს ქორწინება გაიყრება და დამნაშავე სამღვდლო და საეკლესიო

მოსამსახურენი მიეცემიან სასჯელში. მღვდელი
გაიგზავნება უღაბოში იმის ნახევარი დროთი, რამდენ-
ნიც აკლია გვირგვინის კურთხევის სრულ წლოვან-
ობას, ესე იგი რამოდენიც აკლდა სასიძოს თუთ-
ხმეტ წელზე; და სარძლოს ცამეტზედ, დიაკონი
და პრიჩენიკი კი იმის ნახევარი დროთი, რამოდენი-
თაც იქმნება გაგზავნილი მღვდელი. თუ ერთ წელ-
ზე მეტი აკლიათ ადგილისაგან იქმნებიან განშორე-
ბულნი პრიხოდისაგან კი არ იქმნებიან დათხოვნი-
ლნი, მაგრამ თუ ერთ წელიწადზე მეტი აკლიათ
სრულ ასაკობამდის სასიძოს ანუ სასძლოს, მაშინ
მღვდელი ისე დაისჯება, როგორც ზემოთ ვსტყვით და
პრიჩენიკის ადგილზე იქმნება ჩამოყვანილი. მეორე-
რედ თუ შესცდა მღვდელი და მცირე წლოვანზე გვირ-
გვინი აკურთხა ე. ი. წელიწად ნაკლებ მცირე წლო-
ვანზე, მაშინ ადგილისაგან იქმნება დათხოვნილი და
პრიჩენიკის ადგილზე ჩამოიყვანება მოწანებამდის
და პრიჩენიკები სრულიად იქმნებიან გამორიცხულნი
სასულიერო წოდებისაგან. (მე X ტომ. 1 ნაწ. გუსტ-
კანსის. წესდება რუე სტატ. და სკზ სტ.)

ძორწინება აღკრძალულია მათზევისა ცოთხმოც
წელიწადზე მეტი ჰაქვს 'მოზილამ. (მეათე ტომ. კანონ.

რამდენიმე სიტყვა ნათესაობაზე

ნათესაობა არის კავშირი ყველა ოჯახის წევრებთან მამრობითი და მდედრობითი სქესისა, რომელნიცა ჩამოვლენ ერთი საზოგადო მამათმთაერისაგან. (მკათე ტომ. ჰერკული ნაწ. სტ. რუკ. 196). ნათესაობა არის სულიერი და ხორციელი: ნათესაობა ხორციელი წარმოსდგება ხორციელად მშობიარეობით და სულიერი ნათესაობა წარმოსდგება ნათლიაობით, მიმრქმელობისაგან. როდესაც ნათესაობა წარმოსდგება ქორწინებით მეუღლეობითი კავშირით—ეს იწოდება თვისებად.

ნათესაობის კავშირის შესატყობლად იხმარება, ესრეთ წოდებულნი ნათესაობითნი ხაზნი და ხარისხნი. ნათესაობის ხარისხად იწოდება კავშირი ერთის პირისა მეორესთან მშობიარობით. მშობიარობითი ნათესაობა არის აღმავალი და ჩამავალი და გვერდისა. აღმავალი ხაზი ნათესაობისა იწყება ძირიდან, ესე იგი შვილიდამ და აღის მალლა მამაზედ, ბაბუაზედ, პაპაზე და სხვა. ჩამავალი ნათესაობა იწყება პაპიდან და ჩადის შვილიშვილამდის და სხვა.

მშობიარობის ნათესაობითი დაახლოება ერთი პირისა მეორესთან გაიგება ხარისხის რიცხვით. ძარ ჩამავალ ნათესაობის ხაზზე შეილი დედ-მამასთან პირველ მუხლზე არის, რადგან ერთი შობის მეტი არ არის. შეილის-შეილი შეადგენს მეორე ხარისხს და ესრეთ სხვ. აღმავალი ნათესაობაში შეილიდამ მამა შეადგენს პირველ ხარისხს, ბაბუა—მეორეს და სხვანი.

ამას გარდა, არის კიდევ ისეთი საზოგადო წყობილება, რომელსაც საჭირო არის მღვდელმა ყურადღება მიაქციოს, როგორც საჭირო კანონს ნათესაობითი კავშირის გამოანგარიშებისათვის.

ა) ქმარი და ცოლი ერთ ხორცი არიან, ამისათვის ისინი ნათესაობითი ხარისხით არ განიყოფებიან. ქმარი და ცოლი სხვა პირებთან პირველ ხარისხზე ირიცხებიან. ქრმის მშობელთან ცოლი როგორც საკუთარი შათი ასული ისრე ირიცხება და ქრმის დები და ძმები მის დანებათ და ძმებათ ირიცხებიან; ეგრეთვე ქმარი ცოლის მშობლებთან.

ბ) შეილები რამოდენიც უნდა იყონ მამრის და მღვდლის სქესისანი დედ-მამასთან პირველ ხარისხზე ირიცხებიან.

ბ) ტანის ძმანები და დანები ერთიერთმანეთის შორის ყოველთვის ირიცხებიან მეორე ხარისხზე, რამოდენიც უნდა იყონ.

დ) ბერები, რამოდენიც უნდა იყონ, როგორც კაცის მხრით ვგრეთვე ქალის მხრით და ძმანებათ ირიცხებიან.

ე) ნათესაობის გამომანგარიშება ისეთი არის მღედრის სქესის პირთა შორის, როგორც არის მამრის სქესისა. ადვილად გაგებისათვის ნათესაობითის ხარისხისა ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე ამის მაგალითს ოთხ კუთხიანი ხაზებით.

სისხლოან ნათესაობასა შინა

მერამდენე ნათესაობითი ხარისხში იმყოფება ჩემთან ჩემი შვილის შვილის შვილი? ამის ახსნისათვის ჩემი დამ უნდა გაუსვათ ერთი ხაზი ჩემს შვილამდის, მე რე მის შვილამდის და შემდეგ მის შვილამდის; თვითეული პირი დავნიშნოთ გარე შემოვლებულ ხაზში და ეს ოთხ კუთხიანი ხაზები რომ ვიანგარიშოთ ბოლოს გამოვა ჩემს გარდა სამი საზოგადო რიცხვი. ეს ოთხკუთხიანი ხაზები შეგვატ-

ყობანებენ ჩვენ თუ მერამდენე ხარისხით არის ჩემგან გაშორებული ჩემი შვილის შვილის შვილი.

მე

ამ სახით ჩემი შვილის შვი-

ლის შვილი არის ჩემთან შესამე ხა-

რისხვე. ეს ანგარიში არის ძირ ჩა-

მავალი ნათესაობისა.

ჩემი
შვილი

შვილის
შვილი

შვილის
შვილის
შვილი

მერამდენე ხასრისხზე იქმნება ჩემთან ჩემი პაპის პაპა?

პაპის
პაპის
პაპა

პაპის
პაპა


პაპა

მამა

მე


შველა ოთხკუთხიანი ხაზები უნდა
შეაერთო გარდა იმ ხაზისა, რომე-
ლშიდაც „მე“ სწერია და შეიტყობ,
რომ მას გარდა არის ოთხი ოთხკუთხიანი
ხაზები მაშასადამე ჩემი პაპის პაპა
ჩემთან მეოთხე ნათესაობითი ხარის-
ხზე არის.

მერამდენე ხარისხზე არის ჩემთან ჩემი ძმის წული? ეს რომშევიტყოთ, პირველად უნდა ავიღეთ მამასთან და შემდეგ უნდა წამოვიღეთ ძირს იმ პირთან, რომლის ნათესაობასაც ვეძებთ. ბოლოს ერთად უნდა შევავროთთ ყველა ოთხუხიანი და შევიტყოთ.



ჩემს ოთხუხიანს გარდა სამი ოთხუხიანი არის. მამასადამე ჩემი ძმისწული ჩემთან მესამე ხარისხით არის ნათესავი.

მერამდენე ნათესაობის ხარისხზე არის ჩემთან მამიჩემის ბიძაშვილი? ამის შესატყობლად ჩვენ ვაუტესვით ხაზებზე და დავსვით ოთხკუთხიანები.



საზოგადო რიცხვი

შობაებისა, ანუ ოთხ

კუთხიანი ხაზებისა

„მე“-ს გარდა არის

ხუთი. მაშასადამე


მამი ჩემის ბიძაშვილი

ჩემთან არის მეხუთე

ხარისხზე.

როდესაც საჭირო არის შეტყობა თუ რომელ ნათესაობის ხარისხზე არიან ცოლისა და ქრმის ნათესაეები ურთიერთ შორის, ჯერეთ უნდა გამოიანგარიშო ნათესაობითი მუხლები ცოლიდამ ცოლის ნათესაევამდისინ და მერე ქრმის ნათესაეის მუხლები უნდა შეიტყო იმ ნათესაევამდისინ, რომლისაც გვინდა ნათესაობის შეტყობა. ბოლოს უნდა შევეაერთოთ ნათესაობითი ოთხ კუთხიანი ხაზები ცოლქმარს გარდა და შევიტყობთ. მაგალითებრ:


რომელ ნათესაობის ხარისხზე იქმნება ჩემი ძმა ჩემ ცოლის დასთან?



მრი შუაგული ოთხ კუთხიანი ხაზი ქრმისა და ცოლისა უნდა ერთათ ვიანგარიშოთ, ამისათვის მათ შორის არც ხაზია გასმული, რადგან ცოლ ქმარი ერთია და ერთად ირიცხება, და დანარჩენი ოთხ კუთხიანები უნდა ვიანგარიშოთ. დანარჩენი ოთხ-კუთხიანი არის ოთხი; მაშა სადამე ჩემი ძმა ჩემი ცოლის დასთან მეოთხე ნათესაობის ხარისხზე არის

ავილოთ კიდევ მეორე მაგალითი:

მერამდენე ნათესაობის ხარისხზე იქმნება ჩემი ცოლის მამიდა ჩემ ძმის-წულთან.



ჩემი მისწული.

რომ შევაერთოთ ეს ოთხ კუთხიანებს ხაზები გარდა ორისა ქრმისა და ცოლისა, ამისთვის, რომ

მათგან იწყება ნათესაობა, მაშინ ოთხ კუთხიანები იქმნება ექვსი და ჩემი ცოლის მამიდაც ჩემ ძმის-წულთან მეექვსე ნათესაობით ხარისხზე იქმნება.

საზოგადო რიცხვი ოთხკუთხიანი ხაზებისა ჩემს გარდა „მე“ არის ხუთი-მაშასადამე მამი ჩემის ბი-ძაშვილი ჩემთან მეხუთე ნათესაობით ხარისხზე არის.

თვისების ნათესაობაში ნათესაეები ქმრისა ნათესაეები არიან ცოლისაცა და ეგრეთვე ნათესაეები ცოლისა ნათესაეები არიან ქმრისა. ხარისხი ნათესაობისა მათ შორის ისე მოიწახება, როგორც სისხლოვანის ნათესაობაში.

რაცა შეეხება მას, რომელ ნათესაობით ხარისხში არის აღკრძალული ნათესაობა და რომელში არა ამისი გადაწყვეტა გამოიცვლება სხვა და სხვა ნათესაობის სახეში მიღებისაგან.

სისხლოვანს ნათესაობაში აღმავალ და ჩამავალ სწორ ხაზზე გვირგვინის კუთხევა სრულებით აღკრძალული არის ყველა ხარისხზე ეკკლესიური და სამოქალაქო კანონებითა, სისხლოვანის გვერდის ნათესაობას შინა. თანახმად ორმოცდა თოთხმეტი კანონისა მეექვსე მსოფლიო ტრულის კრებისა აღ-

კრძალული არის მეოთხე ხარისხადმდე, მეოთხე ხარისხის ჩათვლით (უწმ. სინ. უქ. ჩუი წელსა აანუჭის ფთ-სა.)

სახელდობ: სისხლოან ნათესაობაში აღკრძალული არის ქორწინება. ა; ტანის ძმებთა და დებთა შორის (მეორე ხარისხა.) ბ; ბიძა ძმისწულშორის (მესამე ხარისხია) გ; ბიძაშვილებთა შორის (მეოთხე ხარისხია.) თვისების ნათესაობაში აღკრძალული არის ქორწინებ. ა; მამასა და რძალს (შვილის ცოლს შორის) და სიძესა და სიდედრს შორის (პირველს ხარისხზე.) ბ; მამინაცვლისა და გერს შორის და დედინაცვალსა და მის გერს შორის (პირველა ხარისხია) გ; მამასა და მისი შვილის სიდედრს შორის (მესამე ხარისხია.) დ; მამინაცვალსა და მისი გერის შვილს შორის, ანუ დედინაცვალსა და მისი გერის შვილს შორის (მეორე ხარისხია.) ე; მამასა და მისი გერის შვილს შორის (მეორე ხარისხია.) მ; პაპასა და შვილის შვილის ცოლს შორის (მეორე ხარისხია). და ეგრეთვე ბებიასა და შვილის შვილის ქმარს შორის. ზ; სიძესა და ცოლის დას შორის (მეორე ხარისხია.) წ; მამასა და რძალს შორის (მეორე ხარისხია.) თ; მამასა და შვილსა ორთა ტანის დათა

შორის ეგრეთვე დედასა მის ქალსა და ორთა ტა-
ნის ძმებთა შორის (მესამე საჩისსია.) ი; სიმამრსა და
სიძის დას შორის, ანუ სიდედრსა და სიძის ძმას შო-
რის (მესამე საჩისსი აჩის) ია; მამინაცვალსა და გე-
რის შვილის შვილს შორის (მესამე საჩისსია და ეგ-
რეთვე მეორეს მსრით.) იბ; მამასა და გერის შვილს
შორის (მესამე საჩისსია.) ივ; პაპასა და შვილის შვი-
ლის გერსა შორის (მესამე საჩისსია.) იდ; პაპასა და
შვილის შვილის სიდედრსა შორის, ანუ შვილის დე-
დამთილს შორის (მესამე საჩისსია.) იე; სიმამრსა და
სიძის ბიძას შორის (მესამე საჩისსია.) ივ; გერსა და
მამინაცვლის, ანუ დედინაცვლის შორის (მესამე სა-
ჩისსია.) იზ; ძმასა და ძმის ანუ დის გერს შორის
(მესამე საჩისსია.) ის; ძმის წულისა და ბიძის ცოლს
შორის, ანუ ბიძასა და ძმის წულის ცოლს შორის
(მესამე საჩისსია.)

მეოთხე ნათესაობითი ხარისხში არ შეიძლება
ქორწინება. ა; ვინც უნდა იყოს მისი შვილის შვი-
ლის გერის ასულთან. ბ; დედის დედინაცვლის ბე-
ბიასთან. გ; პაპის პაპის გერთან. დ; პაპის გერის
ასულთან. ე; შვილის შვილის შვილის სიდედრთან.
ვ; შვილის ცოლის ბებიასთან. ზ; მამინაცვლის, ანუ

დედინაცვლის მამის დასთან. შ; გარეშე პაპის ცოლ-
თან. თ; ცოლის ბიძაშვილის დასთან. ი; მამინაცვ-
ლის ანუ დედინაცვლის ძმისწულთან. ია; შვილის
შვილის ცოლის დასთან. იბ: და ორთა ტანის ძმათა,
ორთა ტანის დათა ზედა და ეგრეთვე იბ; რძლის
მამის დას შორის.

ამ გამოჩანგარიშებიდამაც ადვილათ შეიძლება, რომ
შეიტყოს ნათესაობა იმისთანა პირებში, რომელნიც
აქ არ არიან მოხსენებულნი, მაგრამ როდესაც ბიძა-
ძმის წული თხოულობდეს ორ ტანის დას ანუ ორი
ტანის ძმა თხოულობდეს მამის დას და მის ძმის-
წულს მაშინ მღვდელმა იმაზე ეპარხიის ნება რთვა-
უნდა მოითხოვოს და თვითონ არ უნდა გაბედოს
გვირგვინის კურთხვა (უქაში წმ. სინ. ით-ს იანვარს
ხეა-სა წელსა).

როდესაც სამი გვარი არიან ქორწინებით ნა-
თესაობით დაკავშირებულნი, ე. ი. მეორე ქორწინე-
ბითის ნათესაობაში, არა თუ მეოთხე ხარისხზე არა-
მედ მესამე ხარისხზედაც შეიძლება ეპარხიის მღვ-
დელ მთავრის ნება დართვით შეასრულონ გვირ-
გვინის კურთხევა.

სულიერ ნათესაობაში (ნათესაობითი) ქორწინება არ იყო აღკრძალული მეექვსე მსოფლიო კრებაამდის, მაგრამ მსოფლიო კრების განწესებით ამ ნათესაობაშიაცა თითქმის მეოთხემდის არის აღკრძალული გვირგვინის კურთხევა, ნათესაობა წმიდა მამანების განწესებით და უწმინდესის სინოდის უქაზით გამოცემულის ჩყლზ-ს წელს დეკემბრის ლა-სა დღესა არის მხოლოდ მონათლულს მის მშობელთა და მიმრქმელის შორის. არც გადადის სხვა პირზე და არც ბრუნდება უკან. ორი თუ არის მიმრქმელი კაცი და ქალი წმიდა ეკლესიის კანონით ვაჟი თუ არის მოსანათლაფი კაცი იწერება მაშინ ნამდვილ მიმრქმელად და თუ ქალი ინათლება მაშინ ქალი იქნება ნანდვილი მიმრქმელი და კაცი შეიქნება მართო მოწმედ.

თუმცა შეტყობილ იქმნა, რომ ქორწინებამახლობელ სულიერ ნათესაობით ხარისხში იქმნა შესრულებული, მაშინ ქორწინება უთუოდ გაიყრება და დამნაშავე მღვდელი იქმნება დასჯილი კანონისამებრ.

სამღვდელი და საეკლესიო პირნი, რომელნიცა შეასრულებენ ქორწინებასა ეკლესიისაგან დაშ

ლილ ნათესარობითი ხარისხში თუმცა ეს გაუფრთხი-
ლებლობისაგან და გამოუკითხველობისაგან მოხდა
და მღვდელმა თვითონ არ იცოდა, ისჯება მონას-
ტერში გაგზავნით სამი თვიდამ ექვს თვემდის. ის
სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე, რომელ-
მანც იცოდა მიზეზი, მაგრამ მაინც შეასრუ-
ლა ქორწინება წინააღმდეგ კანონისა, იქმნება დას-
ჯილი მღვდელობის ხარისხის ჩამორთმევით და განწე-
სებულნი პრიჩეტნიკის ადგილზე, ხოლო პრიჩეტნიკნი
ექვს თვის ვადით გაგზავნილნი მონასტერში, ანუ
სულ იქმნებიან დათხოვნილნი სასულიერო უწყები-
საგან, შეხედვისამებრ მათი ყოფაქცევისა სხვა შემ-
თხვევაში. (იქვე სტ. 200 და 201).

მესუთე მუხლი ობისკისა მოითხოვს სასიძოსა და
სასძლოსაგან, რომელ ქორწინებას შეუდგებიან იგინი,
უცოდონი აწიან, თუ მქრინი და რომლის ქორწინების
შემდეგ აწიან მქრინა.

აქ უნდა მიაქციოს ყურადღება მღვდელმა,
რომ არა ვის არ უკურობოს გვირგვინი მეორედ,
როდესაც პირველი ქორწინება კანონით მოშლილი
ანუ დარღვეული არ იყო. ქორწინება აღკრძალუ-
ლია მეორეჯერ.

რომ მღვდელმა შეოთხედ და მეხუთედ გვირგვინი არავის უკურთხოს დადებულთა კანონით, როდესაც ვინმე პასპორტით გვირგვინის კურთხევას ისურვებს იმ პასპორტში მღვდელმა თავისი საკუთარის ხელით უნდა ჩასწეროს თუ როდეს, რომელ ეკლესიაში, ვისთან და ვისგან შესრულდა გვირგვინის კურთხევა მათზე. თუ პასპორტში, ანუ ბილეთებში არა სწერია სასიძოვზე და სასძლოვზე უცოლოა თუ ქალწული, ანუ მქვრივია თუ არა ამისთანა პასპორტის და ბილეთის ცნობების საფუძველით გვირგვინის კურთხევა არ უნდა შესრულოს მღვდელმა.

საღდათის მქვრივებზე მაშინ უნდა შეასრულოს მღვდელმა, გვირგვინის კურთხევა, როდესაც შეტყობილი იქმნება მათისა ქმრის სიკვდილი.

თუმცა ცოლმა, ანუ ქმარმა გაბედა პირველი ქორწინების შემდეგ, რომელიც არსებობს და არ განშორებულან კანონით შესვლა მეორე ქორწინებაში, ქორწინება ესე მაშინვე იქმნების გაუქმებული და პირველი ქორწინება დარჩება ისევე ძალაში, მაგრამ თუ არ ისურვა დარჩენილმა პირმა პირველ ქორწინებაში დაშენა, მაშინ ეს პირველი ქორწინება იქმნება გაუქმებული და დამნაშავეს კანონიერად დას-

ჯის შემდეგ აღეკრძალება თავის სიცოცხლეში ქორწინებაში შესვლა. დამნაშავეს პირს დაედება კანონი მოსაწინებლად სადაც იქმნება ვაგზაენილი იქდეს გარემოება მოხსენდება უწმინდეს სინოდს. ამისთანა ქორწინების შესრულებისათვის სამღვდელოდ და საეკლესიო მოსამსახურენი დაისჯებიან იმ სასჯელითა, რომლითაც ისჯებიან ნათესავებთა შორის ქორწინების შემსრულებელნი პირნი.

ქვეყნის მუსლი ობისკის ფორმისა მოითხოვს, რომ ქორწინებაში შესვლის მოსურნენი თავისი სურვილით და სიბრძნით უნდა შედიოდნენ და არა ძალა დატანებით.

თუმცა რომელიმე პირი ქორწინებაში შედის მოტყუებით და ძალდატანებით, მაშინ ქორწინება მათზე შესრულებულად არ ითვლება. ამისათვის ეკლესიისაგანაც მიტომ არის შეყვანილ ქორწინების წესში ის სიტყვები, რომელსაც მღვდელი ჰკითხავს ქორწინებით შეუღლების მოსურნეთა პირთა და მოითხოვს მათგან, რომ წინაშე ეკლესიისა გამოაცხადონ მათ თავის კეთილი სურვილი და ნება. *) (მკათე ტ. პირ. ნაწ. სტატია ლხ.)

*) ზოგიერთ ქართულ გურთხევანში არ არიან მოყვანილნი ის სიტყვები, რომელიც ქორწინების დაწყების დროს ჰკითხავს მღვდელი, მაგრამ ჩვენში მღვდლები თავდა პირველადვე ჰკითხავს სასიძოს და სასმდოს მათის სურვილით შეუდგებიან ქორწინებას თუ არა.

ვიდრემდის მღვდელი წამდევით არ დარწმუნდება მათ კეთილს და ძალა დაუტანებელს სურვილში, მანობამდის არ უნდა შეუდგეს გვირგვინის კურთხევას. მღვდელმა თუმცა შენიშნოს, რომ სასძლო ტირილით ანუ სხვა მიგებაებით გამოაცხადებს თავის უსურველობას უნდა დააყენოს გვირგვინის კურთხევა ვიდრემდის კარგად არ შეიტყობს და უნდა ეცადოს, რომ ჩააგონოს მათ ეინც ძალას ატანს მათ, რომ ქორწინება არ შესრულდება მათზე საქმის დაწყება ძალათი და მოტყუებით ქორწინების შესრულებაზე სამოქალაქო სამსჯავროს საქმეა, მაგრამ ქორწინების დამტკიცება კი სასულიერო მთავრობისა. (კანს. წესდ. სტ. სიწ).

ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ქორწინებით შეუღლვას შეუდგებიან მოუფიქრებლად, რომელიც მოხდება გამოუცდელიობით და ყმაწვილობით. ამისთანა ქორწინებით შეუღელისაგან მრავალი უბედურება წარმოსდგება ხოლმე ბოლოს. ამისათვის კანონისაგან დადებული არის მოითხოვოს ნება მღვდელმა იმ პირებთაგან, რომელნიც მათზე ზრუნავენ, ანუ აქვსთ უფლება, ანუ მშობლიური, ანუ მთავრობისაგან არიან მათზე მზრუნველად დანიშნულად.

ნი. ამისთვის აღკრძალულია გვირგვინის კურთხევა მშობელთა და მზრუნველებთა ნების დაურთველად და ეს ნებართვა უთუოდ უნდა მოითხოვოს მღვდელმა ქორწინებით შეუღლების მოსურნეთაგან, თუმცა ოცდა ერთ წელს არ აღემატებიან დაბადებიდამ. (ქათე ტომ. ჰიკვ. ნაწ. სტ. 3. 9.)

დაუბრკოლებლობისათვის ქორწინებისა უნდა იქმნენ შთადებულნი ობისკში წერილობითნი საბუთნი, როგორც სასიძოს ეგჩეთვე სასძლოს მსრით. ამისთანა წერილობითი საბუთებს მოითხოვს მეჩვე მუსლი ობისკის ფორმ.სა.

თუ სასიძო სახელმწიფო სამსახურში იმყოფება, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს ნებართვა მიცემული თავისის უმფროსისაგან ქორწინების შესრულებაზე, ხელ მოწერილი და დამოწმებული იმ ადგილის სახელმწიფო ბეჭდითა, რომლიდამაც ეძლევა მას ნებართვა (ქათე ტ. ჰიკვ. ნაწ. თ. სტატია).

ძუპცებთა და მოქალაქეთა უნდა ჰქონდესთ ნებართვა კუპცების, ანუ მეშჩანსკის სამმართველოსაგან მიცემული ამისთანა მოწმობა, როგორც სასიძოზე ეგრეთვე სასძლოზე საჭირო.

თუმცა სასიძო და სასძლო თხოვდებიან არა თაყვის ნიადაგად საცხოვრებელ ადგილზე, არამედ სხვა სამრეელოში სცხოვრებენ, მაშინ მღვდელმა უნდა მოთხოვოს მათგან პასპორტი, ანუ ბილეთი, რომელშიდაც უაუოდ იქმნება მოხსენებული უცულოა თუ ქალწულია სასიძო და სასძლო. თუ მკვრივია რომლის ქორწინების შემდეგ. თუმცა ბილეთს ანუ პასპორტს ვადა ჰაქვსთ გასული, ანუ ზემოთქმული ცნობაები არ სწერიათ, მაშინ ამისთანა ბილეთებით მღვდელმა გვირგვინის კურთხევას დროს არ უნდა იხელმძღვანელოს.

ამისთანა ბილეთის განხილვაზე მღვდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს და განიხილოს კარგად გაბრთხილებით, გაფხეკილობა არის სადმე, ანუ გადასწორებული თუ არა.

წლოვანების შესატყობელად მღვდელმა სასიძოსა და სასძლოსაგან უნდა მოითხოვოს მეტრიჩის მოწმობა და თუმცა ქორწინების კავშირით შეუღლის მოსურნენი პირნი სრულნი წლოვანები არიან და არაფერი ექვია მათ სრულ ასაკობაში, მაშინ მოწმობაც, რომ ვერ წარმოადგინოს, გვირგვინის მაკურთხეველ მღვდელს შეუძლია ბილეთში ანუ პასპორტ-

ში მოხსენებული წელიწადის რიცხვითაც იხელმძღ-
ვანელოს.

თუ სასიძო, ანუ სასძლო სხვა სამრევლოსა, ანუ
პრიხოდისანი არიან, მაშინ იმა პრიხოდის მღვდლი-
საგან უნდა იქმნეს მოთხოვნილი მოწმობა სამ გზი-
თი გამოცხადებაზე და ეგრეთვე მოწმობა სთქვა აღ-
სარება თუ არა, უცოლოა თუ ქალწული და სრუ-
ლი ასაკის არის თუ არა და ანუ თუ მქრევია
მერამდენე ქორწინების შემდეგ. ამისთანა ცნობაე-
ბი ანუ მოწმობაები, როგორც სასიძოს ეგრეთვე
სასძლოს მხრითაც არის საჭირო. თუ სასიძო და
სასძლო არა მართლ-მადიდებელთ აღსარებისანი არი-
ან, მაშინ საჭირო არის, რათა მღვდელმა მოითხო-
ვოს გამოკითხვის მოწმობა პასტორისაგან მათ აღ-
სარებაზე და ზიარებაზე. (ბლად. რსსტ. 1860 წ.
ჰუნ. 18, შენიშ.2).

თუ სასიძო და სასძლო შედიოდეს ქორწინე-
ბასა შინა პირველის ქორწინების გაყრის შემდეგ,
რომელიმე მიზეზთაგამო, მაშინ ობისკში უნდა იყოს
პირველ ქორწინების გაყრაზე კანსისტორიის უქაზი
ჩადებული, აგრეთვე ნება-რთვა შემდეგ ქორწინების
გაყრისა მეორე ქორწინებაზე. (სინ. უქ. 1867 წ.)

მეტხრე მუხლში ობისკის წიგნისა იწერება შემდე-
გი სიტყვები: ქორწინება აღნიშნულთა პირთა განზრახულ
აწს აღსრულდეს შემოსსენებულს ეკკლესიასა შინა ამა
და ამ წელსა და რიცხვსა, გარეშე მოწმების თან დასწრე-
ბითა.

საზოგადო კანონისა მებრ ქორწინება უნდა
იქმნეს შესრულებული უთუოდ ეკკლესიაში (მკათე
ტომ. სტ. ლა.) მაგრამ თუმცა ეკკლესიაში შეუძ-
ლებელია რაიმე გარემოებით გვირგვინის კურთხე-
ვის შესრულება, მაშინ ეპარხიის მთავრობის ნება-
დართვით შეიძლება, რომ სალოცვილო სახლშიაც
შეასრულოს მღვდელმა იგი (იქვე სტ. ლთ.)

ეკკლესიურის წესით აღკრძალულია ქვემო მოყ-
ვანილთა დღეებთა შინა გვირგვინის კურთხევის
შესრულება: ა-დ) იდ-ს ნოემბრიდამ ექვს იანვარამ-
დის:

ბ-დ) დაურწყების კვირიდამ ომას კვირიაკემდის.

გ-დ) შოველთა წმინდათა კვირიაკიდან ო ც დ ა
ც ხ რ ა ივნისის თვემდის.

დ-დ) პირველი აგუსტოდამ თუთხმეტ აგუსტომ-
დის.

მ-დ) ყოველს სამშაბათს საღამოს და ხუთშა-
ბათს საღამოს; ეგრეთვე საუფლო და ლუთის მშო-
ბლის დღესასწაულების დღეებში და მწუხრის დროს,
თუმცა მეორე დღე კვირა არის, ანუ დიდი დღესას-
წაული. შორწინება უნდა შესრულდებოდეს დღით
წირვის დროს და არა მწუხრის შემდეგ ღამე გვიან.
ძარგი დრო გვირგვინის კურთხევის შესრულებისა
არის წირვის გათავების შემდეგ. (ბლაღოჩ. ინსტ.
ით).

კანონიერ შესრულებულად ითვლება ის ქორ-
წინება, რომელიც შესრულებულია ყველა ზემოთქ-
მული წესის დაცვით ეკლესიაში, მოწმების თანა
დასწრებით და მრთელი კრებულის აღსრულებით. შორ-
წინება საიდუმლოდ შესრულებული კანონიერად არ
შეირაცხება; ერთად ერთ დროს რამოდენიმე ქორ-
წინების აღსრულება არ შეიძლება. (მკათე. ტომ.
კან. სტ. ღა.)

თავი მეექვსე

მოკლე განმარტება წინდობის და გვირგვინის კურთხევის ტიბიკონისა.

დანიშნულ დღეს და საათს სასიძო და სასძლოთაეს მღებებით მივლენ ეკლესიაში და როდესაც შემდგარ ობისკს მოაწერენ ხელს ყველანი, ესე იგი, სასიძო, სასძლო, და თავსმდებნი და კრებულნი მღვდელი გამოვალს ჯვარით და სახარებით აღსავლის კარიდამ დაასვენებს მათ ანალოგიაზე, მარჯვნივ დააყენებს სასიძოს და მარცხნივ სასძლოს ჩამოართმევს მათ ბეჭდებს შეიტანს და დასდებს ტრაპეზეზე, გამოვა ტრაპეზიდამ და მისცემს ანთებულს სანთელს მეფეს და დედოფალს და დაიწყება წინდობის წესი. მშვიდობიანის გათავების შემდეგ გამოიტანს ბეჭდებს სასიძოს მისცემს ოქროსას და სასძლოს ვერცხლისას, სამ ჯერ წარმოსთქვამს თვითეულ მხარეზე შემ-

დევ სიტყვებს: „დაიწინდვის მონა მღვთისა“ სახელი სასიძოს და სასძლოსი, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“ მგრეთვე იტყვის სასძლოზე,

ბექდებს ძმადი შეუცვლის მათ, სასიძოსას წამოაცვამს სასძლოს და სასძლოსას სასიძოს. ლოცვის წაკითხვის და მშვიდობიანის შემდეგ კიდევაც თავდება წინდობის წესი. წინდობის წესის აღსრულების დროს სასიძო და სასძლო ცოტათი დაშორებით უნდა იდგნენ ანალოგიაზე.

ქორწინება

ქორწინება დაიწყება მით, რომელ ანთებული სანთლებითა მეფე და დედოფალი ახლოს მოვლენ ანალოგიასთან და დადგებიან ერთ ქვეშ ფეხსაკებზე. მგალობლები დაიწყებენ გალობას: „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა“. ამ გალობის შემდეგ მღვდელმა მოწმებთან და ეკკლესიის წინაშე უნდა ჰკითხოს მეფესა და დედოფალსა თავის სურვილით და ძალა დაუტანებლად შეუდგებიან ქორ-

წინებით შეუღლვას თუ არა; და ხომ არ აღუთქვამსთ სხვისთვის ქორწინებით შეუღლვლა. როდესაც წინა-
შე ეკლესიისა განაცხადებენ თავის სურვილს მაშინ მღვდელი ანუ დიაკონი დაიწყებს მშვიდობიანსა, მშვიდობიანსა და მღვდლისაგან თქმულის ლოცვების შემდეგ, მღვდელი დაადგამს მათ თავზე გვირგვინსა. პირველად სასიძოს და მეორედ სასძლოს თავისი დანიშნული სიტყვების წარმოთქმით. სამგზის ჯვარი უნდა გამოასახოს და ღმერთსა უნდა სთქვას: „უფალო ღმერთო ჩვენო დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი.“

სამოციქულოს და სახარების წაკითხვის შემდეგ მღვდელი აკურთხებს საზოგადო მათ ბარძიმსა, რომელსა შინა უნდა იყოს ღვინო წყლით შეზავებული, და სამ-სამჯერ მოასმევენებს მეფესა და დედოფალსა.

ამის შემდეგ მღვდელმა მეფესა და დედოფალსა ერთი ერთმანეთისათვისა უნდა მოაკიდებინოს ხელი, თავის ხელი უნდა მოჰკიდოს მათ შეერთებულ ხელს, დააფაროს ოლარი და ისე სამჯერ ანალოგიას უნდა შემოუთარონ, რომლის შემოვლის

დროს მგალობელნი უნდა გალობდნენ: „ისაია მხი-
არულ იყავ ქალწულმან და სხვანი.“...

სამჯერ შემოუვლიან თუ არა ანალოგიას მღვდელი დააყენებს მათ თავის ადგილზე და აღი-
ღებს მათი თავიდან გვირგვინს თავისი დანიშნული
სიტყვების წარმოთქმით. მღვდლის ლოცვის წაკით-
ხვის შემდეგ მეფე და დედოფალი ერთი ერთმანეთს
შეემთხვევიან და კიდევაც გასრულდება გვირგვინის
კურთხევის წესი და მოქმედება.

როგორც ნათლისღების შესრულების დროს,
ეგრეთვე გვირგვინის კურთხევის აღსრულების დროს
ზოგიერთ ადგილას ისეთ წესს ხმარობენ, რომელიც
არსად არ სწერია, მაგალითებრ: ლეინოს, რომ მი-
აღებინებენ მეფე დედოფალს—პური თუ არ შეა-
ჭამეს ხოლმე სამჯერ თითო ლუკმა არ იქნება. რაც
პური დარჩებათ შეუჭმელი იმას მეფე დედოფალს
თავზე გადააყრიან. მეფე-დედოფალს ანალოგიის
წინ სატევარს დაუცდებენ ფეხთით და ორივემ ფეხი
უნდა დაადგან მასზედ. მკლესიილამ რომ გამო-
ვლენ მეფე-დედოფალი, სატევარს გაუხირობენ კარ-
ზე და ისე გარონინებენ. მეფეს ქუდს არ მოხდიან.

გვირგვინის კუთხეებზე და ქუდით დგას ეკლესიაში. ზოგან მეფე-დედოფალს არ ჰკითხვენ სახალხოდ მათის სურვილით შეუდგებიან ქორწინებას თუ ძალდატანებით. მღვდელი წაღმა კი არ არის წამდგარი, დასავლეთისკენ არის წამდგარი და ისე უკითხავს მათ ლოცვას; მეფე დედოფალი ხელს არ ჰკიდებენ ერთმანეთს ანალოგიაზე შემოვლის დროს და არც მღვდელი მოჰკიდებს მათ ხელს, არამედ დაშორებით კმევით უვლის ანალოგიას მღვდელი, და სხვა მრავალ ამისთანა უწესო მოქმედებას ასრულებენ, რომელითაც თავის თავსაც ამდაბლებენ და პასუხის გებაშიაც ვარდებიან ღვთის წინაშე ამისთანა ცუდის წესების შემოღებით. მღვდლები ამისთანა უწესობის ასრულებას არ უნდა შერებოდნენ.

როდესაც მღვდელი შეასრულებს გვირგვინის კუთხეებს, მაშინვე ეკლესიაშივე უნდა ჩააწეროს თეთრ მეტრიკაში მღვდელ-მოქმედების შესრულება. მეტრიკა ქორწინების ჩასაწერი ყველგან ერთ გვარია და თუ მღვდელს არ შეუძლია კარგად ჩაწერა, სხვა მწერალს უნდა ჩააწერინოს. თუმცა გვირგვინ

ნაკურთხნი სხვა სამრევლოთაგანნი არიან, მაშინვე
უნდა მისცეს მღვდელმა მათ მოწმობა, ანუ მეტრი-
ჩესკის გამოწერილობა გვირგვინის კურთხევის შეს-
რულებაზე, რომელიც მათ თავის მღვდელს უნდა
აჩვენონ აღსარებითი სიაში ჩასაწერელად.

თავი მეშვიდე

მეტრიჩესკის მოწმობის მიცემაზედ

მრევლთა ყოველთვის შეუძლიანთ მიიღონ მრევლის მღვდლისაგან ამოწერილობა მეტრიჩესკის წიგნიდამ მათის ოჯახის წევრის შესახებ შობისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისა. (კანსისტორიის უსტავი სტ. 107) ეს მოწმობაები მხოლოდ პირდაპირი გამოწერილობა არის მეტრიჩესკის წიგნიდან ერთის სიტყვის დაუკლებლად და შეუშლელად. ამისთანა მოწმობაები ყველა კრებულის წევრისაგან უნდა იყოს ხელმოწერილი და დამტკიცებული ღერბითა. თუმცა ამისთანა მოწმობაები სასამართლო ადგილებში არის წარსადგენი გერბის ქალაქზე უნდა იყოს დაწერილი. აზნაურის და თავადის წოდების პირთა ამისთანა მოწმობა უნდა მიეცეს ეხლა 40 კაპეიკიან ქალაქზე. მოქალაქეთა და გლეხთაცა ორ აბაზიან ქალაქზე. (მეცხრე ტომის კანონ. სტ. ჩუფთ 1579.) ამისთანა ამოწერილობაები მრევლის მღვდელთაგან

მიცემულნი იმდენათ მისაღები არ არიან, როგორც კანტორილამ, ანუ კანსისტორიილამ მიღებულნი, მაგრამ თუ კანსისტორიისაგან დამოწმებულნი არიან რომ ნამდვილ მეტრიკასთან სწორეთ არიან დაწერილნი, მაშინ ის ძალა ჰქვსთ ამისთანა მოწმობაებს, რაც თვითონ კანსისტორიისგან მიცემულს მოწმობაებს ჰქვს.

მეტრიჩესკის მოწმობა კავკასიის აქეთ მცხოვრებელთა სინოდალნის კანტორილამ მიცემის ყოველ თავისუფალ პირს მის შობაზე და პონათელაზე, ქორწინებაზე და გადაცვალებაზე და სახელდობრ: მშობლებს მათ შვილებზე, აპეკუნებს და მზრუნველებს მათ სააპეკუნო და სამზრუნველო პირთა ზედა შრთის მიცემის შემდეგ მეტრიკის მოწმობა კანტორილამ არავის მიცემა. თუ ვინცომა და მეტრიკის მოწმობა მიცემულა კანტორილამ დაეკარგა, მას მისცემენ პირს იმ მეტრიჩესკის მოწმობისას, როდესაც დაამტკიცებს, რომ მას მეტრიკის მოწმობა დაეკარგა. მიღება მოწმობისა ვეჭილობით შეიძლება და თხოვნა გარეშე პირს არ შეუძლია.

ბრც ძმას ძმისა, არც დას, არც ბიძას თავის ძმის
წულისათვის მოწმობის თხოვნა არ შეუძლია, თუ
იგანი აპეკუნები არ არიან მათი.

1.

ფორმა საქორწინე ობისკისა

ჩუო წელსა ნოემბრის..... დღესა. უქაზისა.
მებრ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა,
(ამა და ამა ქაღაქისა, ანუ სოფლისა, ამა და ამა წ-ის
ეკკლეჯიის) სამღვდელთა და საეკკლეჯიო მსახურთა მო-
ვახდინეთ გამოკითხვა მოსურნეთათვის ქორწინებასა შინა.
შესვლისა და აღმოსხნდა შემდეგი: ა) სასიძო (აქ უნდა
დაიწეროს სასიძოზე წოდება მისი ანუ ჩინი, ადგილი
სამსახურისა ანუ ცხოვრებისა, სახელი მისი, მამის სა-
ხელი და გვარი მისი, რომელი საწმუნოებისა არის).
სცხოვრებდა ამა და ამ ქალაქსა, სოფელსა და უფზდსა
ამა და ამა ეკკლეჯიის სამრევლოსა შინა. ბ) საძლო
(აქ უნდა დაიწეროს წოდება, სახელი, მამის სახელი და
გვარი, რომლის აღსარების არის მართლ-მადიდებლის
ანუ ღოთჩანგის) სცხოვრებდა აქამომდე (ამა და ამა
ქაღაქსა ანუ სოფელსა და უფზდსა, ამა და ამა ეკკლე-
ჯიის სამრევლოსა შინა). გ); ასაკი შეუღელი-

სადმი აქვს სრული და სახელდობრ სასიძო (აჩის
 ამდენი და ამდენი წლისა) ხოლო სასიძო (ამდენი და
 ამდენი წლისა) და ორნივე არიან მრთელს ჭკუაზედ.
 დ); ნათესაობა მათ შორის სულიერი ანუ ხორციე-
 ლი და თვისება დამაბრკოლებელი ქორწინებისა
 განწესებისა მებრ წ-სა ეკლესიისა არა რაჲი არის.
 მ); სასიძო არის უცოლო (ანუ ქვრივი და მეკამდე-
 ნე ქორწინების შემდეგ აჩის მქვრივი) ხოლო სას-
 ძო ქალწული, (ანუ მქვრივი შემდეგ პირველისა ანუ
 მეორისა ქორწინებისა. მ); ქორწინებას შეუდგებიან
 იგინი ურთიერთის თანახმობით და სურვილით და
 არა ძალ დატანებით და ამაზე აქვს მათ ნება რთვა
 მშობლებთან თვისთა, ანუ აპეკუნებთა და მზრუნ-
 ველებთა თვისთა. (უნდა დაიწეროს მათი წოდება,
 ხინი, სახელი, მამის სახელი და გვარი თითოეულისა;
 თუ მშობლები არ არიან ცოცხალნი ეს უნდა იყოს
 ნათქვამი. სამხედრო მოსამსახურე პირთა და სამო-
 ქალაქო წოდების მოსამსახურე პირთა უნდა ქონ-
 დეს ნება რთვა თავის მართებლობისაგან. სალდათის
 ცოლებთა და მქვრივებთა დაწესებული ამაზე სამ-
 ხედრო მართებლობისაგან მქვრივების პასპორტი)
 ანუ სახე; ზ); სამგზითის გამოცხადებისა მებრ მომხ-

დარის ამა და ამ ეკკლესიასა შინა, ამ წელსა თვესა და წიგნსა, დამაბრკოლებელი მიზეზი ამა ქორწინებისა არა ვისგან არ გამოცხადებულ არს. (3). დასარწმუნებელად ამა ქორწინების დაუბრკოლებლობისა წარმოიდგინებთან წერილობითნი საბუთანი: ა, ნება რთვა სასიძოსი შესვლისადმი ქორწინებასა შინა (ამა და ამა მისი მთავრობისგან, მიტეპული ამა და ამ წელსა, თვესა წიგნსა ამა და ამ ნომრითა, ამასთანავე შთადებულა ნამდვილით); ბ); ცნობა სასიძოზე მისი სულიერი მოძღვრისა შთადებული ამასთანავე ნამდვილით (აქ უნდა იყოს ნაჩვენები სხვა საბუთებიც, გარემოებისა მებრ, წერილობითი საბუთნი, როდესაც ერთი მათგანი არის ფრანგის ანუ ლათინის საწმენოებისა ანუ ამასთანაებზე მკვლელ მთავრის რეპრეზენტაცი). თ). ამისათვის ქორწინება აღნიშნულთა პირთა წინეთ განზრახულ არს აღსრულდეს შემოხსენებულს (ამა და ამა) ეკკლესიასა შინა ამა ჩუო წელსა ამა და ამა რიცხვსა და თვესა კანონით დაწესებულ დროსა, გარეშე მოწმების თანა დასწობით. ი). რომელ ყოველი ნაჩვენები აქ სასიძოზე და სასიძოზე მართალ არს ამას ამტკიცებენ თავის ხელის

მოწერიტა, როგორც თვით იგინი, ეგრეთვე თვითემ
ულის მხრით მათგანისა ორ-ორი ანუ სამ^ს სამი
თავს მდებნი, მით, რომელ, თუ რაიმე აღმოსჩნდეს
სიმტყუნით, მაშინ ხელის მომწერნი ვალდებულნი
არიან პასუხის გებად კანონისა მეტრ ეკკლესიისა და
სჯულთა მეტრ სამოქალაქოებისა. (ამის შემდეგ უნ-
და იყოს ხელმწერილი ამ სახით: სასიძო წოდება
ანუ ჩინი, სახელი მამის, სახელი და გვარი მასი.)

სასძლო (წოდება სახელი, მამას სახელი და გვა-
რი).

სასიძოს მხრით თავსმდებნი: (მათი წოდება თვით-
ეულისა ანუ ჩინი, ადგილი სამსახურისა, ანუ ცხოვრე-
ბისა სახელი, მამის სახელი და გვარი).

სასძლოს მხრით თავსმდებნი: წოდება, ჩინი
ადგილი ცხოვრებისა, ანუ სამსახურისა, სახელი მა-
თი, მამის სახელი და გვარი. გამოკითხვა მოვახდი-
ნეთ ამა და ამ ეკკლესიის კრებულთა:

მღვდელი (ესე და ესე).

მთავარ დიაკონი (ესე და ეს).

პრიხედნიკი (ესე და ეს).

შენიშვნა) ამასთანავე დაედგინების ვალად
სამღვდელს და საეკკლესიო მსახურთა: ა). წარ-

მოდგენილნი ობისკთან ნამდვილნი საბუთნი, რომელნიც უნდა დაშთენ ეკკლესიაში, მაგალითებრ: ნებართვა მთავრობისაგან მიცემული გვირგვინის კურთხევაზე მოსამსახურისადმი და ამის მსგავსი სხვა უნდა იქმნეს შენახულნი ობისკის წიგნებთან, ხოლო სხვა საბუთებთაგან, მაგალითებრ: ატტესტატისაგან, ბილეთებთაგან, პასპორტებთაგან, კანტორი-დამ მიცემული მეტრიჩესკის მოწმობათაგან, რომლიდამაც შეტყობილი იყო წლოვანება ქორწინების მოსურნეთა პირთა, უნდა იქმნეს პირი დატევებული ობისკთან და ნამდვილები უნდა მიეცეს ხელწერილს ქვეშ, რომელი ხელწერილის მიღება პირებზე უნდა იყოს დაწერილი. ბ). თუ სასძლო სხვა სამრევლოს მცხოვრებთაგანია, მაზე უნდა მოითხოვონ მისი სულიერი მოძღვრისაგან მოწმობა, რომელშიაც უნდა იყოს ნაჩვენები: ქალწულია თუ მკვრივი, რამდენი წლისა არის, აღიარებს აღსარებას და ეზიარება წმიდათა საიდულოთა თუ არა, და ეს მოწმობა უნდა იქმნეს შთადებული ობისკსა შინა.

მეცრიხესკის წიგნის ფორმა

პირველი ნაწილი დაბადებულთათვის.

მეტირიკის წიგნისა ჩემ -სა წლისა

სათვალავი წიგნისა მეტრისა		თვე და დღე		სასე- ლები დაბა- დებუ- ლთა.	წოდება. სასელი, მ- ძის სასელი და გვარი მშობელთა და რომ- ლისა საწმუნოები- სა არიან.	წოდება, სასელი მამის სასელი და გვარი მიმრე- მელთა.
მასთა	საქისა	დაბა	დღე	სათვის		
ა	ა	იანვ	რის	დავით	ანა სამასურში მე- თვი აზნაური გიორგი- სიძის ძე დეკლარი- ანი და სკულიერი ცო- ლი მისი ელენა შავ- ლეს ასული. ორნივე მართლ მადიდებელის აღსაწებისანი.	მცხოვრებელი სოფელს გორს შორაშნის უეზ- დის აზნაური იე- სე სპირიდონის ძე ელენა და აზნა- ურის დავით აბ- შიძის ასული მა- რიამ.
ა	ა	იანვ	რის	დავით	უმის გიორგი იო- სების ძას დანაშთური მკვირივი ეკატერინა იესეს ასული მართლ მადიდებელის აღსა- წებისა	სოფ. შროშის შორაშნ. უეზ- დის მცხოვრებე- ლი უმა ივანედა- ვითის ძე გუმბაძე

მ ლ ვ დ ე ლ ი
 ღ ი ა კ ო ნ ი
 პ რ ი ჩ ე ტ ნ ი კ ი ი ო თ

მ ლ ვ დ ე ლ ი ს ი მ ო ნ
 პ რ ი ჩ ე ტ ნ ი კ ი ს პ ი
 პ ო ნ ო მ ა რ ი ს ტ ე ფ ა

ნაწილი პირველი დაბადებულთა თვის

ვინ აღასრულა საიდუმლო
ნათლის ღებისა.

სკლის მოწერა მოწამეთა,
რომელთაცა ჭსურთ ჩაწერა
სურვილისა მებრ.

ამაღლების ეკლესიის მღვდელ-
მა დავით ციციშვილმა დიაკო-
ნის სპირიდონ სუხიაშვილისა და
პრიეტნიკი იოსამ გველესიანი-
თურთ.

მამა დაბადებულისა: აზნაური
გიორგი სიმონისძე დეკანოზი-
ნი; დედა დაბადებულისა: ელე-
ნა ჰავლეს ასული. (ამასთან
სსვა მოწიებებიც ვინც იქნებიან).

დ ა ვ ი თ ც ი ც ი
დ ო ნ ს უ ხ ი ა შ
ა მ გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი

შ ვ ი ლ ი
ვ ი ლ ი

მღვდელმა სიმონ დუგლასძემ
პრიეტნიკი სპირიდონ დუგლას-
ძისა და მონომრის სტეფანე შა-
ლაშვილითურთ.

დედა დაბადებულისა: მკერძი-
ვი ეკატერინა იესეს ასული;
მიმრქმელი მონათლულისა უმა
ივანე დავითის ძე ჭუმბაძე.

დ უ გ ლ ა ძ ე
რ ი დ ო ნ დ უ მ ი ძ ე
ნ ე ჩ ი ხ ლ ა ძ ე

ძ ე

მეტიკიკის დავის ფორმა სხვა სარეზერვუების
მონათლისა

მეტიკიკის ვიზნი ჩქო ვლისა

რეტვი დაბად ბუღთა.		თვე დღე.		სასელიდა- ბადებულ თა.	წოდება, სასელი, მამის სასელი, გვარი მშობლე- ბთა და რომლის საწ წმუნებისანი არიან.	წოდება, სა- სელი, მამის სასელი და გვარი მიმწ- ქმელთა.
მამისა	მდე- რისა.	დაბადება	მონათე.			
ა.	"	მაისა	ივ.	დოსითეოს	უქსისა მებრ ამ და მამ კანტორისა ამ და მამ რი- ცხვსა, თვესა და წელსა № თა განათლებულად წმი- დითა ნათელ. - ღებითა მქ ანუ ასული, და ნუცოლი ამ და მამის მისი სასელი ურჩისანუ თათრის სჭუ- ლისა, ლ-ის წ. და სასელ წოდებულ არს დოსითე- ოდ ნათელ. - ღებასე მო- სასსებებულად დირსისა დოსითეოსა. რომელსა ც დღესასწაულობს ეკვლე- სა ით-ს ფებერვალს.	მიმწქმე- ლად იყო (თუ ერ- თის წოდე- ბა სასელი მამის სა- სელი და გვარი).
					მღვდელი (ესა და ესე)	
					პრიეტნიკი (ესა და ესე).	

საწილი პირველი დაბადებულთათვის

ვინ აღასრულა საიდუმლო
ნათლის ღვბისა.

სელის მოწერა მოწმებითა
სურვილისა მებრ.

მღვდელმან ამან ჭ ამან
დიაკონი ანუ პრიხეტნიკი ამა
ღ ამითურთ.

აქ მოწმების სასელის მო-
წერა ჭ მიმტკმელისა ცა.

მეორე ნაწილი ჯვარდაწერილთათვის.

მეტიჩიხუსის წ. ბნისა ჩჲო ჳლისა ნაწილი

აღრი- ცხკა ქორ- წინე- ბათა	თვე ღ დღე — იანვარ- ი.	წოდება, სასული მ- ძის სასული, გუარი ჳ სარწმუნოების აღსა- რება სასამოსი ჳრომ- ღისა ქორწინებითა.	წელ- ნი სა სიძო- სანი	წოდება, სასული, მ- ძის სასული ჳ სარწმუ- ნოებისა აღსარება სა- სძლოსა ჳ რომლისა ქორწინებითა.	წელ- ნი სა- სძლო სანი
--	---------------------------------------	--	--------------------------------	--	--------------------------------

ა.	იანვარ- ი. ი.	შორაზნის უყრდის სოფლის ბოსღევის მცხოვრებელი ემა ეგ- ნატე დავითის ძე ჳე- ლიძემართლია დიდაბე- ღის სარწმუნოებისა პირველითა ქორწინე- ბითა.	მე.	შორაზნის უყრდის სოფლის საწაბლეს მცხოვრების ემის და- ვით ივანეს ძის ცა- ლასაძის-ასული ირინა ძარო. მად. სარწმუ- ნოებისა პირველითა ქორწინებითა.	მ.
----	---------------------	---	-----	---	----

მ ლ ე ღ ე ლ ი ი ე ს ე
კ რ ი ჩ ე ტ ნ ი კ ი დ ი მ ი ტ

ჩეოდ-ს წელსა ივნი სის ი ე-სა დღესა შეკვამოწ მე წი
ან იყო ჩაწერილი ორი ქორწინება, რომელნიც რომ
თვეში; რაც ჩაწერილი არის სისწორით არიან ჩა
რობისადმი ჳკრევის განკარგულებისათვის.

ბლაღოხინა მღვდელი შაკლე წერეთელი.

გეოგრაფიკული მონაცემებით შეპლავლისათვის

<p>ვინ აღასრულა საიდუმლო.</p>	<p>ვინ იყენებს თავ- დებნი.</p>	<p>სკლის მოწერა შა- წამეთა, რომელთაცა ჭსურთ ჩაწერა სურ- ვიდისა მესრ.</p>
<p>მღვდელმა იესე გველესიანმა შვი- ჩეტნიკი დიმიტრი გველესიანითურთ</p> <p>გ ვ ე ლ დ რ ი გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი.</p>	<p>სასიძლეს მსწით: სო- ფელს ბოსლევს მცხო- ვრებნი უმა ზაალ და- ვითის ჩუბანიძე & გი- ორგი იესეს ძე შველი- ძე სასიძლეს მსწით: სო- ფელს სავანდელს მცხო- ვრებნი უმანა სპირიდონ- სიძონის ძე გაჩეჩილაძე & მიხაილ როსტომის ძე გორგაძე.</p> <p>ს ი ა ნ ი. ლ ე ს ი ა ნ ი.</p>	<p>საკვირგებნი: უმა გენაძე დავითის ძე ჭე- დლოძე. საკვირგებნი იონან ივანეს ესული- თავსმდედნი: უმა სპირი- დონ სიძონის ძე გაჩე- ჩილაძე & მასილ რო- სტომისძე გორგაძე.</p>
<p>ვინ ესე ადგილობრივი ორც სხასს ობის წერილი. უწესობებს</p>	<p>ზღაღონანმა & აღმონ- ვის წიგნიდამ არიან შვე- ეს მოხსენებულა. იქ</p>	<p>ნდა, რომელ მეტროპოლი- სრულელებულია მისის ნებს ეზანსიის მთავ-</p>

ნაწილი მეორე

განმარტვებულთა.

მ ე ტ რ ი ჩ ე ს კ ი ს წ ი ზ ნ ი ჩ ყ ო მ - ს ა წ ლ ი

წიგნი გარდაცვალებულთა.		თვე და დღე.		წოდება სახელი მამის და გვარი გარდაცვალებულთა.	წოდება გარდაცვალებულთა.	
მამრბ.	მდედრ.	თანვარი.			მამრ.	მდედრ.
1	—	10	13	ემა სიმონ ივანესძე კლესჭერიძე	40	„
—	1	20	22	სოფელს საქარას მცხოვრების უმის ეგნატე დიმიტრისძის მალაკელიძის მეუღლას ანა ივანეს ასული	—	30

მ ღ ვ ღ ე ლ ი ი ე ა ნ ე გ ო
 პ რ ი ჩ ე ტ ნ ი კ ი ი უ ს ტ ი

მ ღ ვ ღ ე ლ ი დ ა ვ ი თ
 პ რ ი ჩ ე ტ ნ ი კ ი თ ე მ უ

ს ა თ ვ ი ს გ ა დ ა ც ვ ა ლ ე გ უ ლ თ ა

<p>რისაგან მო- კვდა.</p>	<p>ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა.</p>	<p>ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფ- ლავებულნი.</p>
<p>ცხელებისაგამო. რ გ ა ძ ე. ნ ე გ ა ხ ე ხ ი ლ ა ძ ე.</p>	<p>მღვდელმა ივანე გორგაძემ.</p>	<p>მღვდელმან ივანე გორ- გაძემ შრიეტიკი იუსტინე გაჩეილაძითურთ. და არის დასაფლავებული ცხრა წყა- რის წმიდის გიორგის ეკ- კლესიის გადავასსა შინა.</p>
<p>მუცელ ქმნ-ლებისა- გამო. მ შ ვ ე ლ ი ძ ე. რ ა ზ ტ ა ლ ა ხ ა ძ ე.</p>	<p>უეტარი სიკვდი- ლისა გამო. არ უთ- ქვამს აღსარება და არ ზიარებულა.</p>	<p>მღვდელმან დავით იშვე- ლიძემ შრიეტიკი თეიმუ- რაზ ტალასაძითურთ. ჭარის დასაფლავებული შროშის მაცხოვრის ეკლესიის სა- საფლა. ასა შინა.</p>

შოველ გვარი სიყალბისთვის მეტრიჩესკის წიგნსა შინა, შობისა, ქორწინებისა და გარდაცვალების აქტებსა შინა როგორც ნამდვილში ეგრეთვე დამოწმებულ მათ პირებსა შინა დამნაშავენი ისჯებიან ღირსების ჩამოხდით და ციმბირში გაგზავნით (უგოლოვ. კან. 1441).

როდესაც ამისთანა სიყალბე იქმნება მოხდენილი იმისთანა პირებისაგან რომელზედაც დაკვა და წარმოება ამისთანა საბუთებისა, არის დამოკიდებული, მაშინ იგინი ისჯებიან სიყალბეზე სამსახურისა მეგრ.

უწესოდ საბუთების წარმოებისთვის მღვდელი დაისჯება სასულიერო მთავრობის შეხედვისამებრ, აგრეთვე არა თავის დროზე მღვდელ მოქმედების ჩაუწერლობისათვის და სახლში საეკლესიო საბუთების შენახვისთვის, უწესოდ აღსარებითი სიის და ობისკის წიგნის წარმოებისათვის, დამნაშავე პირნი დაისჯებიან კანსისტორის უსტავის ძალით შენიშვნით და ჯარიმის გარდახდით (უგოლოვანის წესდების კან. 1442.)

ორი მოწმობა რომ მისცეს მღვდელმა ერთსა და იმავე პირს ორივე-ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი, მაშინ მღვდელი ისჯება სიყალბისათვის ღირსების ჩამორთმევით და ციმბირში გაგზავნით.

3.

ფ ო რ მ ა

კრებულისაგან მისაცემ მოწმობისა გვირგვინის
კურთხევაზე.

მოწმობა

ესე მიეცა ჩვენ ქვემოთე ამის ხელის მომწერ-
თაგან (ამა და ამ უკუდის, ამა და ამ სოფლის, ამა და ამ წმინ-
დის) ეკკლესიის სამრევლოთაგანს (აქ უნდა დაიწეროს
წოდება, მამის სახელი და გვარი სასიძოსი ანუ სასძლ-
სი) მას შინა, რომელ იგი არის მართლ-მადიდებე-
ლის აღსარებისა, იტყვის აღსარებას და მიიღებს
წმინდა საიდუმლო ზიარებასა, როგორც სხანს ხსე-
ნებულის ეკკლესიის შავი მეტრიკის წიგნიდამ (ანუ
თუ მეტრიკაში არ არის) აღსარებითი სიილამ (ამა და
ამა წლისა, ამა და ამ ნომერსა ქვეშე) არის შობილამ
(ამდენი და ამდენი წლისა, წელიწადი სიტყვით უნდა იყოს
დაწერილი კარის უცოლო (თუ მკვრივია უნდა უჩვენო მე-
რამდენე კორწინების შემდეგ); რასა შინა მიეცა მოწმო-

ბა (ამა და ამას გვაჩი) ჯეროვანის ხელის მოწერითა და
(ამა და ამა) ეკლესიის ღერბის დასმითა. სოფელი
(ესა და ეს წელიწადი და თვის ჩიტხვა სიტუვითა დაწე-
ჩილი უნდა იყოს).

ადგილი
ბეჭდის

- მღვდელი (ვინც აჩის)
- ღიაკონი (ვიხც აჩის)
- პრიხეტნიკი (ვინც აჩის)
- პონომარი (ვინც აჩის).

შენიშვნა: ამისთანა მოწმობა აჩის საჭირო სას-
ძღოლე და სასიძოლე ობისკში ჩასაკერებლათ.

თუ სასძღო, ვნუ სასიძო სხვა სამრევლოთაგანი აჩის,
მას უნდა ქონდეს მოწმობა თავის მრევლის მღვდლი-
საგან სამ გზითის გამოცხადებაზე, რომელი მოი-
თხოვება მეშვიდე საქარწინე ობისკის ფორმის მუხ-
ლით.

4.

ფ ო რ მ ა

კრებულისაგან მისაცემი მოწმობისა სამგზით გამოცხადებაზე გვირგვინის კურთხევის დაუბრკოლებლობაზე.

მოწმობა

